ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

2

1976



მთელი ჩვენი ქვეყნის, ყველა საბჭოთა ადამიანის ფიქრები ამ დღეებში მიპყრობილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისადმი.

ყველა პატიოსან ადამიანს სურს რაღაც ახლით, რაღაც კარგით, თაოსნობით, შრომით, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით შეხვდეს კომუნისტთა ამ დიდ ფორუმს.

**საბჭოთა** პიონერია ყოველთვის იყო სამშობლოს დიად საქმეთა თანაზიარი. პირველ ხუთწლედებში პიონერები ჭეშმარიტად დიდ საქმეებს იყვნენ შეჭიდებულნი, უფროსების, კომუნისტების გვერდით ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, ხალისით ებმებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ებრძოდნენ კულაკებს... შემდეგ გაიშალა თემურელთა მოძრაობა. ყველა პიონერი ცდილობდა ყოფილიყო თემურელი, დახმარებოდა მოხუცებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ჩვენი სამშობლოსათვის წმიდათა

რაზმის საბჭოს
თავმჯდომარე
მამუკა ომანიძე.

# საყვარელო პარტიას ჩვენს ვანდობთ ბედს

# იყავ ღირსი!

წმიდა ომში ასობით პიონერი — პოლკის შვილობილი მიაბიჯებდა ომის მრისხანე გზებზე, კომკავშირელებსა და კომუნისტებთან ერთად თავისი წვლილი შეჰქონდა მტერზე გამარჯვებაში.

სამამულო ომის მატიანეში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი გმირი პიონერების სახელები. პიონერი—მზვერავი, პიონერი—მეკავშირე, პიონერი—პარტიზანი... სათუთად ინახავდნენ ალისფერ ყელსახვევს — საბჭოთა დროშის ნაწილს — და მგზნებარედ ოცნებობდნენ იმ დღეზე, ,,როცა ჩვენს ქუჩებშიც იქნებოდა დღესასწაული". მერე კი, როცა ეს საყოველთაო სახალხო დღესასწაული — მტერზე გამარჯვების ნანატრი დღე გათენდა, პიონერიის წინაშე ახალი, დიდი სარბიელი გამოჩნდა — სახალხო მეურნეობის აღდგენაში მონაწილეობა.

სწრაფად აღადგინეს დანგრეული, დაფერფლილი სკოლები. და როცა სკოლების დერეფნებსა და საკლასო ოთახებში პირველი ზარის ხმა გაისმა, პიონერები მიხვდნენ: ახლა მთავარი იყო ცოდნის დაუფლება, აღდგენილ ხიდებსა და სასახლეებს, ყანებსა და ბაღებს, ბიბლიოთეკებსა და ლაბორატორიებს, ქარხნებსა და მუზეუმებს, თეატრებსა და ძეგლებს ესაჭიროებოდა მცოდნე კაცის ხელი, და გაჩაღდა ლაშქრობა ცოდნის დაუფლებისათვის.

მას შემდეგ ჩვენი ქვეყნისათვის ყველა დიდმნიშვნელოვან მოვლენას პიონერია ახალ-ახალი პატრიოტული საქმეებით აღნიშნავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში, ისევე, როგორც მთელი ქვეყნის ცხოვრებაში, ყველაზე მნიშვნელოვანია სამზადისი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად.

პიონერები ცდილობენ მთელი თავიანთი ენერგია მოახმარონ ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის სამზადისს,



13045

პიონერი
2
თებერვალი
1976
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ყველა საქმეში მხარი უსწორონ კომუნისტებს. აკი ამიტომ გახდა პიონერთა რაზმების საკავშირო მარშის დევიზი: „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს!"

პიონერულ რგოლებსა და რაზმებში გაიშალა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისადმი საკავშირო პიონერული ორგანიზაციის პატაკზე ხელის მოწერის უფლების მოსაპოვებლად.

და მაინც... ვინ მოაწერს ხელს ამ პატაკზე? თითო პიონერი ყოველი რგოლიდან, რაღა თქმა უნდა, ყველაზე ღირსეული.

ეს მოძრაობა ჯერ კიდევ სექტემბერში, სასწავლო წლის დასაწყისშივე გაჩაღდა და თითოეულ რგოლს საშუალება ჰქონდა აერჩია ყველაზე წარჩინებული, შეემოწმებინა კანდიდატურა, რათა არჩევანში არ შემცდარიყო.

დღეს გამარჯვებული პიონერები — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის № 3 პიონერული რაზმის წევრები — რედაქციაში არიან სტუმრად და თავთავიანთი რგოლის, მთელი რაზმის საქმეებზე მოგვითხრობენ. მოგვითხრობენ თავიანთ სწავლაზე, შრომაზე, ურთიერთდახმარებაზე, მეგობრობაზე, წიგნებზე, რომლებსაც მათმა ფაქიზმა ხელებმა სიცოცხლე გაუხანგრძლივეს, თეატრის, მუსიკის, საბავშვო ფილმების კვირეულებში მონაწილეობაზე, ოქტომბრელებთან მუშაობაზე...

მამუკა ომანიძე, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:

— ჩვენი მთავარი საზრუნავი სწავლაა, მაგრამ ჩვენი რაზმის პიონერები მარტო თავისთავზე კი არ ზრუნავენ, არამედ ამხანაგებზეც. ამიტომაც რაზმში არც ერთი ოროსანი არ გვყავს. ახლა მეექვსე კლასში ვართ, მაგრამ ეს ამბავი მესამე კლასიდანვე დაიწყო. როგორც კი პიონერები გავხდით, გადავწყვიტეთ არავის მიგვეღო შეფასება „ორი", რასაც ვასრულებთ კიდეც. მხოლოდ ერთხელ, ერთ ჩვენს თანაკლასელს გამოყვა მეოთხედში „ორიანი", რაც საერთო მსჯელობის საგნად ვაქციეთ. ის იყო და ის, შემდეგ ჩვენს საკლასო ჟურნალში „ორიანს" არ გაუჭაჭანებია.

„კვირა — ორიანების გარეშე!" — ამ დევიზით ვიწყებთ ყოველ კვირას. ისე არ გაიგოთ, თითქოს ზარმაცები სულაც არა გვყავდეს, ან ვინმეს რომელიმე საგანი არ უჭირდეს, მაგრამ ზარმაცებს ვარცხვენთ, სუსტებს ვეხმარებით და სიტყვას მაინც ვასრულებთ. გვაქვს გარდამავალი ვიმპელი სწავლაში გამარჯვებული რგოლისათვის; ვატარებთ ვიქტორინას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში ვეჯიბრებით პარალელურ VI კლასს. ჯერჯერობით ჩვენ ვიმარჯვებთ.

ლია უმიკაშვილი, (II რგოლი):

— კლასში გვაქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, ყველამ თავისი საყვარელი წიგნი მოიტანა. ეს წიგნები შემდეგ ყველას საყვარელ წიგნებად იქცა. „ახალგაზრდა გვარდია", „ზოიასა და შურას ამბავი", „მეოთხე სიმაღლე", „ჩემი ვაჟიშვილის ამბავი"... ეს წიგნები ყველამ წავიკითხეთ და ბევრი მათგანი გავარჩიეთ კიდეც.

ყველაზე ბევრი წიგნი ვლადიმერ გოგობერიძემ, თამარ ხავთასმა, მიხეილ მემანიშვილმა, თამარ დაბრუნდაშვილმა და მაყვალა ბერიძემ მოიტანეს. ვაგროვებთ სახელმძღვანელოებს, ვუვლით მათ და ახალ სასწავლო წელს ჩვენს მომდევნო კლასს გადავცემთ, რადგან კარგად ვიცით, რამდენი ქაღალდი, რამდენი ადამიანის შრომა იხარჯება ყოველწლიურად სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

მიხეილ მემანიშვილი; (I რგოლი):

— როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობისადმი საკავშირო პიონერული ორგანიზაციის პატაკზე ხელის მოწერის უფლების მოსაპოვებლად შეჯიბრში ჩავებით, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ დევიზს „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს!"

ვინ არიან ის ჩვენი ნაცნობი კომუნისტები, რომელთა ცხოვრება სამაგალითოდ მიგვაჩნია?

აი, თუნდაც ჩვენი მასწავლებელი თამარ ცხვარაშვილი. ომის მძიმე დღეებში ახალგაზრდა კომუნისტი თამარ ცხვარაშვილი დაღუპული სამი ძმისა და მამისათვის შურის საძიებლად ფრონტზე წავიდა მოხალისედ. გაბედულმა მებრძოლმა ქალმა არაერთი საბრძოლო ჯილდო მიიღო და გამარჯვებული დაბრუნდა შინ. ახლა იგი ჩვენი მასწავლებელია. განა სამშობლოს მხურვალე სიყვარულის, მისთვის თავდადების მაგალითი პატივცემული თამარ მასწავლებლისაგან არ უნდა ავიღოთ?

ან კიდევ — ჩვენი ამხანაგის, კახა თოდუას პაპა, — შალვა პაპიძე, სამამულო ომის ვეტერანი. ჩვენ იგი რაზმის შეკრებაზე მოვიწვიეთ და დიდი მღელვარებით მოვისმინეთ მისი ნაამბობი.



თამრიკო ხავთასის მოსვლას მოუთმენლად ელიან ოქტომბრელები. იგი მათ ახალ ჟურნალებს უკითხავს, სკოლის ნაკვეთში გადაჰყავს, ლექსებს ასწავლის, ამიტომ უყვართ „თამრიკო ხელმძღვანელი" პატარებს.

ჩვენი რაზმი მირზა გელოვანის სახელობისაა. განა პოეტი-ჯარისკაცის ცხოვრება, სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი გული ჩვენთვის გაკვეთილი არ არის იმისა, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ დედასამშობლოს კალმითა და ხიშტით?

ამიტომ თამამად ვამბობთ: აი, ამ კომუნისტებისაგან ვსწავლობთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, მათგან ვიღებთ მაგალითს.

თამარ ხავთასი: (III რგოლი):

— ჩვენმა რგოლმა განსაკუთრებით ისახელა თავი ჯართის შეგროვებაში დევიზით „მილიონი სამშობლოს" და მაკულატურის შეგროვებაში დევიზით „თეთრი ფარი". თავი გამოიჩინეს: ზაზა მახარაძემ, მამუკა ნიქაბაძემ, ბესიკ ჯალიაშვილმა და სხვებმა.

ჩვენ კარგი სასკოლო ნაკვეთი გვაქვს, სადაც ხალისით ვსაქმიანობთ, ბოტანიკის ღია გაკვეთილებს ვატარებთ. მეორეკლასელ ოქტომბრელებს ვამზადებთ პიონერთა რიგებში შესასვლელად, ვასწავლით ლექსებს, სიმღერებს, ვარგვევინებთ ყვავილებს სასკოლო ნაკვეთზე, ვაჩვევთ შრომას. შარშან „ოქტომბრელის კვირეული" ჩავუტარეთ. მოვაწყეთ „ოქტომბრელთა კუთხე".

დავდივართ მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ამას წინათ მოვაწყეთ სპექტაკლ „ბაბუა და შვილიშვილის" განხილვა.

ვიყავით ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, აგრეთვე ბავშვთა ნახატების რესპუბლიკურ გამოფენაზე. ყველაზე მოწინავე პიონერები საპატიო ყარაულში იდგნენ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან თბილისის გამარჯვების პარკში.

საახალწლოდ საჩუქრები გავუგზავნეთ ბამის მშენებლებს. იმ წინდებსა და ხელთათმანებს ჩვენი გულების სითბოთან გაჰყვა. საუკუნის ამ უდიდესი მაგისტრალის მშენებელთა ცხოვრება, შრომა ჩვენთვის სამაგალითოა.

... კიდევ ბევრი რამ თქვეს პიონერებმა თავიანთი რგოლების, რაზმის მუშაობაზე. მათთვის ნათელი იყო მარშის დებულება და იმ დოკუმენტის ყოველი სტრიქონი, რომელიც მიღებულ იქნა ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე „სალუტი, გამარჯვება!"


ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი განსაკუთრებით საინტერესო ხდება მაშინ, როცა იგი ომის მრისხანე დღეებს ეხება. მასწავლებელ თ. ცხვარაშვილს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი.



„იცოცხლე წიგნო"! — ამ დევიზით საკუთარი საკლასო ბიბლიოთეკის წიგნებს სიცოცხლეს უხანგრძლივებენ პიონერები.

არც ერთი დღე ფიქრის გარეშე, არც ერთი დღე უწიგნოდ, რათა პიონერული წელიწადი, ყრილობის წელიწადი იყოს საინტერესო, სასარგებლო, შინაარსიანი, დაუვიწყარი! — ეს იყო მთავარი სათქმელი პიონერებისა, რომლებსაც თავიანთმა რგოლებმა პატივი დასდეს, ხელი მოეწერათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისადმი საკავშირო პიონერული ორგანიზაციის პატაკზე. პატაკზე, რომელიც კომუნისტური პარტიის საქმისადმი, ლენინის საქმისადმი დიდი ერთგულებისა და თავდადების ფიცი იქნება.

ნარგიზა მგელაძე.

ვ. ბორისენკოს ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

ხევს გასცდნენ. გაღმა გავიდნენ და გავერანებულ ეკლიან ყამირს წაადგნენ. აქაც მოჩანდნენ ნახევრად წაშლილი ყორღანები, მაგრამ ატეხილ ღიჭასა და ნარ-ეკლს გადაევლო ზედ. მხოლოდ ერთგან რკინის ჯვარი ყელყელაობდა გამხმარ ბალახებში, ოღონდ სხვანაირი იყო ეს ჯვარი — მკლავებდაღრეცილი.

— ჰიტლერელთა სასაფლაოა, — თქვა ოსკარმა და ჯუბის შეხედა.

— საინტერესოა, ვინც აქ მარხია, ყველა ჰიტლერელი იყო? — იკითხა ფანისმა.

— აი, სწორედ ეგ არის საკითხავი, — წინ წამოდგა მაია. — რამდენჯერ გამივლია ამ უპატრონო სამარეებთან და ყოველთვის ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები მომძალებია, ზოგჯერ ლამის წამცდენია ხელი მაგ ნარ-ეკლის დასაგლეჯად, ზოგჯერ ყვავილების მოტანაც დამიპირებია, მაგრამ მეორე წუთს შემძაგებია თავი ამ სისუსტისათვის.

— ეგ სიძულვილია, — დაასკვნა გრიზლიმ.

ის და ფანისი გვერდიგვერდ იდგნენ, ჩალა არ გადაევლებოდათ, ხასიათითაც ჰგავდნენ ერთმანეთს. გრიზლის არ უყვარდა ლაპარაკი, მარტო დასკვნებისათვის თუ მოიცლიდა, ფანისი კი დასკვნებზეც თავს იკავებდა, ყველაფერს ისმენდა, აკვირდებოდა და უბის წიგნაკში იწერდა.

— არა, ეს სიძულვილი არ არის, — თქვა მაიამ მცირე ფიქრის შემდეგ, — ეს უფრო შიშია, შეცდომის ჩადენის შიში... გინდა იფიქრო, რომ ისინიც ადამიანები იყვნენ, ჰქონდათ ოჯახი, მერე ფაშისტებმა ძალით ჩატენეს მათ თავებში ბილწი ზრახვანი, იარაღი მისცეს და დამპყრობლებად აქციეს... შეიძლება აი ეს განაპირა ყორღანი სწორედ ასეთი ბედუკუღმართი კაცისაა. თუ ასეა, მაშინ ყვავილების მიტანაც შეიძლება... აი სწორედ აქ მაკრთობს უეცარი შიში — ვაითუ ჯალათი წევს ამ ყორღანის ქვეშ. ალბათ ყველა იმიტომ ერიდება აქეთ გამოვლას...

ხმა აღარავის ამოუღია.

ხევიდან დროდადრო ქარი უბერავდა და ყორღანებზე გამხმარ ბალახს, როგორც შეთხელებულ ჭაღარას, გვერდზე აწვენდა. ნელა, სევდიანად სტვენდნენ თესლისაგან გამოცარიელებული ბალახის თაველები.

ტყე გათავდა. ბავშვებმა მარჯვნივ გაუხვიეს და გზატკეცილისაკენ წავიდნენ. ელისა ჩამორჩა ტყისპირთან და მერე ქაქანით წამოეწია ჯგუფს. ხელში დაბრაწული, კენკრით დახუნძლული ტოტი ეჭირა.

— აბა თუ გამოიცნობთ, რა მიჭირავს, — მაღლა ასწია ტოტიანი ხელი.

გრიზლიმ ზანტად მიაბრუნა თავი და ჩაიქირქილა:

— მაგას რა გამოცნობა უნდა, ტყეში ყოველმა ჩიორამ იცის მაგის სახელი — ცირცელია.

ელისამ ყელი მოიღერა.

— სწორედ რომ ვერ გამოიცანი. ეს შემოდგომის ლუქიანი ბეჭედი გახლავთ, შენ კი — ცირცელიო.

გზატკეცილზე გავიდნენ. ოსკარმა საათზე დაიხედა და ამხანაგებს მიუბრუნდა:

— ქალქის ავტობუსის ჩამოვლამდე ნახევარი საათია, გინდათ, ცოტა გავიაროთ საპირისპირო მიმართულებით?

— ვითომ რატომ? — იკითხა გრიზლიმ.

— რა მოხდა, ცოტაზე მაინც გამაცილეთ, — შესცინა ელისამ.

ყველანი ქალაქში აპირებდნენ დაბრუნებას კონცერტზე, სადაც მათი სოფლის თვითმოქმედი კოლექტივიც უნდა გამოსულიყო, ელისას კი ალბათ ამ ექსკურსიამ შეუცვალა გუნება.

— რაკი სოფლისაკენ ქნა პირი, მაგას რაღა მოაბრუნებს, — თქვა წინ წასულ ელისაზე.

ოსკარი შედგა, გაღმით გაიშვირა ხელი და ხმამაღლა დაიძახა:

— აბა შეხედეთ, ახლა შეხედეთ წითელ კერპს!

დასავლეთით გადაწეული მზე მეწამულად ანათებდა ღრუბლებშუა დარნიდან. მისი ალმაცერი სხივები ზურგიდან ეცემოდა კლდეს და შავი ღრუბლების ფონზე მართლაც კერპივით აღმართული მოჩანდა.

— თუ გინდათ, რომ სრული პორტრეტი იხილოთ ჩვენი კერპისა, მაშინ იგი დაისის მიწურულს უნდა ნახოთ. ახლა არე საკმაოდ განათებულია, კლდის კონტურები მკვეთრად ჩანს და ფანტაზიის საშუალებას არ იძლევა.

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 1.

ამას ელისა ამბობდა, სადღაც უკნიდან ესმოდათ სტუმრებს მისი ხმა.

გზაზე ავტობუსი გამოჩნდა. წინ გადამდგარი შეჯგუფული ბავშვების დანახვაზე მძღოლმა სვლას უკლო.

— დედას გაფიცებ, წამოდი, რა! — ეძახდა შაია განზე გამდგარ ელისას.

ოსკარმა სტუმრები წინ გაუშვა, გრიზლიც გაატარა და ახლა მაიას ელოდა.

— დაანებე თავი, ხომ იცი მაგის ხასიათი, რაკი თქვა, არ წამოვა.

ჯუბი ავტობუსის უკანა სარკმლიდან ხედავდა გზისპირა ბილიკზე მიმავალ გოგოს. თავჩაღუნული ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

ოსკარი შემოვიდა, გვერდში ამოუდგა ჯუბის და მთელ გზაზე არ მოშორებია.

— ახლა შენა გაქვს ხელთ წითელი კერპის გამოცანის ერთადერთი გასაღები, მოარგებ თუ არა, შენ იცი, — უთხრა ბოლოს, როცა ავტობუსიდან ჩავიდნენ და სტუმრებმა უარი განაცხადეს კონცერტზე.

— მე რა შემიძლია, — უთხრა ჯუბიმ.

— იქნებ თბილისში მიგეწერა, თქვენც ხომ გყავთ კვალმაძიებლები.

— გვყავს და მერე როგორები, არ იტყვი? თუ დასჭირდათ, ცის ძირამდე ივლიან. ამ საღამოსვე ავიაფოსტით გავგზავნი ბარათს.

— კარგი იქნება. რა თქვენი ახირება იყო, წამოსულიყავით კონცერტზე.

— რაც ვისეირნეთ, ნეტა ეგ შეგვრჩეს, — შესცინა ჯუბიმ და სათითაოდ დაემშვიდობა ზოლკელ პიონერებს.

სანატორიუმის ჭიშკართან შედგნენ, ტანსაცმელი გაიბერტყეს, გაკოპწიავდნენ. ჯერ ფანის გაუშვეს წინ, მერე ვესტამ აიარა განიერი კიბე, ბოლოს კი ჯუბი დაიძრა.

თურმე, ნუ იტყვით, ექთანი დადარაჯებული ელოდა სამივეს. ჯერ გაეხარდა მათი დანახვა, მერე დაუცაცხანა, სად დაიკარგეთო.

— დაიბანეთ, ისადილეთ და მერე მორიგე ექიმის კაბინეტში მოდით, — უბრძანა შეუვალი კილოთი.

სადილის შემდეგ პალატაში შესულს წერილი დახვდა ჯუბის, ძმის წერილი. მაშინვე გახსნა და სულმოუთქმელად გადაიკითხა.

„ს ა ლ ა მ ი,  პ ო ლ კ დ ა კ ა რ გ უ ლ ო!

მერვეკლასელები ისედაც პოლკდაკარგულები ხართ, რაზმი თქვენ აღარ გყავთ და არაფერი, რაღა მაგ სიმორეზე გადაკარგვა გინდოდა... რუსიკო და გურანდა უკვე კომკავშირში მიიღეს, დანარჩენები კი ისევ ყელსახვევებით დადიან. შენ რასა შვრები, როდის უნდა ჩამოხვიდე?..

იცი, ჩემი წერილი იყო „ნორჩ ლენინელში“, ჯართის შეგროვებაში პირველ ადგილზე გამოვედით და კომკავშირის რაიკომმა ჩვენი რაზმეული ფოტოაპარატით დააჯილდოვა. გასულ შაბათს ორდღიან ლაშქრობაზე წავედით, დიდგორის წვერზე კარვებში გავათიეთ ღამე. სიბნელეში გვესმოდა ისტორიის მასწავლებლის მონაყოლი და ასე გვეგონა, ჩვენც დავით აღმაშენებლის


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქარს ვეკუთვნოდით, ინათებდა და დაიწყებოდა დიდგორის ომი...

გათენებისას ადრე გამეღვიძა, ძლივს ვიოკებდი დაგუბებულ საბრძოლო ყიჟინას, ჟრუანტელი მივლიდა ტანში. აი თურმე რატომ დადიან საბრძოლო დიდების ადგილებზე. აქ არ შეიძლება არ გადაგედოს გმირი წინაპრების შეუპოვრობა...

მამა ველარა სძლებს უშენოდ. ისე დღე არ გავა, რომ არ წამოიძახოს, ბიჭის ნახვა მომენატრაო. დედაც ნაღვლობს, რაც შენგან ჩამოვიდა, სულ ჩამოხმა. ვიცი, ქვეყანას შემიყრიან სკოლაში, თორემ გამოვიპარებოდი შენთან. სპორტსკოლიდანაც მოგაკითხეს, ბიჭები იყვნენ...

აბა შენ იცი, სასპორტო ფორმას თუ აღიდგენ. გელოდებით მოუთმენლად.

შ ე ნ ი  ძ მ ა  დ ე ვ ლ ე თ ი“.

ჯირკა ბიჭი იყო, შავტუხა, თათარს ეძახდნენ მოფერებით და თვითონაც იფერებდა, დევლეთ გირეი ვარო,— ტრაბახობდა, დათო აღარ დამიძახოთო.

ფიქრით მოეფერა ძმას, კონვერტი შეინახა და მორიგე ექიმის კაბინეტისაკენ წავიდა. კარი ღრეჩოდ იყო დარჩენილი. ფრთხილად დააკაკუნა.

— შემოდით, — გაისმა ქალის სასიამოვნო ხმა.

ექიმი მაგიდას უჯდა და გამალებით წერდა. თავი არ აუღია, ალბათ ისედაც იცოდა, ვინც შემოვიდა. შუახნის ქალი იყო, შავთმიანი, თხელ პირისახეზე, უპეებთან ჩიტის ნაფეხურებივით აჩნდა ნაოჭები.

ამას ელისა ამბობდა, სადღაც უკნიდან ესმოდათ სტუმრებს მისი ხმა.

გზაზე ავტობუსი გამოჩნდა. წინ გადამდგარი შეჯგუფული ბავშვების დანახვაზე მძღოლმა სვლას უკლო.

— დედას გაფიცებ, წამოდი, რა! — ეძახდა ზაია განზე გამდგარ ელისას.

ოსკარმა სტუმრები წინ გაუშვა, გრიზლიც გაატარა და ახლა მაიას ელოდა.

— დაანებე თავი, ხომ იცი მაგის ხასიათი, რაკი თქვა, არ წამოვა.

ჯუბი ავტობუსის უკანა სარკმლიდან ხედავდა გზისპირა ბილიკზე მიმავალ გოგოს. თავჩაღუნული ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

ოსკარი შემოვიდა, გვერდში ამოუდგა ჯუბის და მთელ გზაზე არ მოშორებია.

— ახლა შენა გაქვს ხელთ წითელი კერპის გამოცანის ერთადერთი გასაღები, მოარგებ თუ არა, შენ იცი, — უთხრა ბოლოს, როცა ავტობუსიდან ჩავიდნენ და სტუმრებმა უარი განაცხადეს კონცერტზე.

— მე რა შემიძლია, — უთხრა ჯუბიმ.

— იქნებ თბილისში მიგეწერა, თქვენც ხომ გყავთ კვალმაძიებლები.

— გვყავს და მერე როგორები, არ იტყვი? თუ დასჭირდათ, ცის ძირამდე ივლიან. ამ საღამოსვე ავიაფოსტით გავგზავნი ბარათს.

— კარგი იქნება. რა თქვენი ახირება იყო, წამოსულიყავით კონცერტზე.

— რაც ვისეირნეთ, ნეტა ეგ შეგვრჩეს, — შესცინა ჯუბიმ და სათითაოდ დაემშვიდობა ზოლკელ პიონერებს.

სანატორიუმის ჭიშკართან შედგნენ, ტანსაცმელი გაიბერტყეს, გაკოპწიავდნენ. ჯერ ფანისი გაუშვეს წინ, მერე ვესტამ აიარა განიერი კიბე, ბოლოს კი ჯუბი დაიძრა.

თურმე, ნუ იტყვით, ექთანი დადარაჯებული ელოდა სამივეს. ჯერ გაეხარდა მათი დანახვა, მერე დაუცაცხანა, სად დაიკარგეთო.

— დაიბანეთ, ისადილეთ და მერე მორიგე ექიმის კაბინეტში მოდით, — უბრძანა შეუვალი კილოთი.

სადილის შემდეგ პალატაში შესულს წერილი დახვდა ჯუბის, ძმის წერილი. მაშინვე გახსნა და სულმოუთქმელად გადაიკითხა.

„სალამი, პოლკდაკარგულო!

მერვეკლასელები ისედაც პოლკდაკარგულები ხართ, რაზმი თქვენ აღარ გყავთ და არაფერი, რაღა მაგ სიშორეზე გადაკარგვა გინდოდა... რუსიკო და გურანდა უკვე კომკავშირში მიიღეს, დანარჩენები კი ისევ ყელსახვევებით დადიან. შენ რასა შვრები, როდის უნდა ჩამოხვიდე?..

იცი, ჩემი წერილი იყო „ნორჩ ლენინელში“, ჯართის შეგროვებაში პირველ ადგილზე გამოვედით და კომკავშირის რაიკომმა ჩვენი რაზმეული ფოტოაპარატით დააჯილდოვა. გასულ შაბათს ორდღიან ლაშქრობაზე წავედით, დიდგორის წვერზე კარვებში გავათიეთ ღამე. სიბნელეში გვესმოდა ისტორიის მასწავლებლის მონაყოლი და ასე გვეგონა, ჩვენც დავით აღმაშენებლის




ლაშქარს ვეკუთვნოდით, ინათებდა და დაიწყებოდა დიდგორის ომი...

გათენებისას ადრე გამეღვიძა, ძლივს ვიოკებდი დაგუბებულ საბრძოლო ყიჟინას, ჭრუანტელი მივლიდა ტანში. აი თურმე რატომ დადიან საბრძოლო დიდების ადგილებზე. აქ არ შეიძლება არ გადაგედოს გმირი წინაპრების შეუპოვრობა...

მამა ველარა სძლებს უშენოდ. ისე დღე არ გავა, რომ არ წამოიძახოს, ბიჭის ნახვა მომენატრაო. დედაც ნაღვლობს, რაც შენგან ჩამოვიდა, სულ ჩამოხმა. ვიცი, ქვეყანას შემიყრიან სკოლაში, თორემ გამოვიპარებოდი შენთან. სპორტსკოლიდანაც მოგაკითხეს, ბიჭები იყვნენ...

აბა შენ იცი, სასპორტო ფორმას თუ აღიდგენ. გელოდებით მოუთმენლად.

შენი ძმა დევლეთი“.

ჯირკა ბიჭი იყო, შავტუხა, თათარს ეძახდნენ მოყვრებით და თვითონაც იფერებდა, დევლეთ გირეი ვარო, — ტრაბახობდა, დათო აღარ დამიძახოთო.

ფიქრით მოეფერა ძმას, კონვერტი შეინახა და მორიგე ექიმის კაბინეტისაკენ წავიდა. კარი ღრეჩოდ იყო დარჩენილი. ფრთხილად დააკაკუნა.

— შემოდით, — გაისმა ქალის სასიამოვნო ხმა.

ექიმი მაგიდას უჯდა და გამალებით წერდა. თავი არ აუღია, ალბათ ისედაც იცოდა, ვინც შემოვიდა. შუახნის ქალი იყო, შავთმიანი, თხელ პირისახეზე, უპეებთან ჩიტის ნაფეხურებივით აჩნდა ნაოჭები.

— აა, მოხვედით? — როგორც იქნა თავი ასწია და დაღლილი თვალებით შეხედა ბიჭს, — სხვები სადღაა არიან? მთელი დღეა თქვენ გელოდებით.

— მარტო მე მოვედი... ჩემი ბრალია...

— სად იყავით? — ქალის ხმაში უფრო ალერსი ისმოდა, ვიდრე გაბრაზება.

ჯუბის გული მოეცა, გადაწყვიტა, გულახდილად ეთქვა, სადაც იყო.

— ადგილობრივმა პიონერებმა გვთხოვეს დავხმარებოდით და უარი ვეღარ ვუთხარით.

— ისეთი რა იყო, რომ პერსონალურად თქვენი წასვლა გახდა საჭირო?

— წარწერა აღმოუჩენიათ, არარუსული ტექსტიც ერია და ის ამოვიკითხეთ... ფრიდა კარლოვნა, წითელი კერპი გინახავთ? — თავის მხრივ შეეკითხა ბიჭი და ახლაღა მიხვდა, რომ ეს ჭკვიანთვალება ექიმი ქალი რუსი არ იყო.

ფრიდა კარლოვნა... ამ მიმართვამ აფიქრებინა, მერე ვარიც გაიხსენა და საბოლოოდ დარწმუნდა თავის ეჭვში. ფრიდა კარლოვნა გოლცი...

— მინახავს რომელია, სულ დავლილი მაქვს იქაურობა. ეგ წარწერა სად იყო?

— კლდის ნამზღვლევების ქვეშ „დოტისათვის" მიუგნიათ პიონერებს... მერე ძმათა სასაფლაოებიც ვნახეთ ჩვენების... გერმანელების...

— გერმანელებისა კი არა, ფაშისტებისა...

— კი მაგრამ, განა ყველა ფაშისტი იყო, ვინც აღმოსავლეთისაკენ მოდიოდა?

— ვინც უნდა იყო, ასეთ შეცდომას არავინ გაპატიებს.

— რა შეცდომას?

— კაცის კვლას. მამაჩემი ექიმი იყო, რაც მახსოვს, სულ სათვალეს ხმარობდა. არ გაიწვიეს ომის დროს, მაგრამ ძალით წავიდა. ერთი წელიწადი არ გასულა და მისი დაღუპვის ცნობა მივიღეთ. ფაშისტებს საველე ჰოსპიტალი დაებომბათ... ძალიან გვიჭირდა იმ ომში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მაგრამ არასოდეს ჩვენს მფრინავებს ჰოსპიტალი არ დაუბომბავთ... ეს ბარბაროსობაა...

ფრიდა კარლოვნა წამოდგა. ფანჯრიდან გახედა სივრცეს და გამხდარი ხელები მოიფშვნიტა. ეტყობოდა, ძალზე ღელავდა.

— რა ქენით, ამოიკითხეთ წარწერა?

— დიახ. სამნი მდგარან სიკვდილის პირისპირ, მათ შორის ერთი ქართველი ყოფილა, ვალერიან გელიაშვილი, მას მიუწერია ქართულად თავისი გვარი და სახელი.

— ძებნას იწყებთ?

— ჯერჯერობით თბილისში მივწერ.

— თუ კიდევ დაგჭირდეთ გასვლა, აუცილებლად სთხოვეთ ექიმს, გაპარვა აღარ გაბედოთ, — ახლოს მივიდა, მხარზე ხელი დაადო და კარამდე მიაცილა.

ფანისი და ვესტა კაბინეტიდან მოშორებით დერეფანში ელოდნენ.

— რა გითხრა?

— რა და, თუ კიდევ გაიმეორეს, აქედან გაგრეკავო. ჭკუით იყავით, თორემ ყოველთვის მე კი არ გეყოლებით გვერდით, — თქვა და მედიდურად გავიდა.

ვესტამ ენა გამოუყო, შებრუნდა და ჯუბის პალატისაკენ მოკურცხლა. ფანისმა შესცინა, გულზე ხელი მიიდო და ოდნავ დაუკრა თავი.

— მიიღე ჩემგან ძმური რახმათი ასე იოლად გადარჩენისათვის.

ფანისმა იცოდა, რუსულად როგორ ეთქვა მადლობა, მაგრამ უზბეკურად ამჯობინა, აქაოდა ძმაკაცები ვართ და ერთმანეთის ენა გვესმისო.

ჯუბი პალატაში დაბრუნდა და მაშინვე წერილის საწერად მოემზადა. სლავკა სიჩოვს ისევ ეძინა. დიდი ძილისგუდა იყო ეს სიჩოვი. სახსრები მტკივაო, ერთთავად იწვა და ეძინა.

— გააღვიძე, ძილში არ გაიპაროს ეგ უპატრონო, — უთხრა ჯუბიმ ფანისს და მაგიდას მიუჯდა.

კიდევ კარგი, რომ ძმამ წერილით შეახსენა თავი. რაღა სხვისთვის უნდა მიეწერა, დათოზე უკეთეს კვალმაძიებელს ვის იპოვიდა მთელ სკოლაში...

მოკლედ მოუთხრო ძმას, რაც ნახა, წარწერის ტექსტი კი მთლიანად დაუწერა. წერილი კონვერტში ჩადო, მისამართი დააწერა და ტუმბზე დადო. რომ წამოდგა, მაშინღა იგრძნო დაღლილობა, გაიხადა და თვალის მოტყუება სცადა. სიჩოვი ისევ ხვრინავდა, ფანისსაც ეძინა. ჯუბი ვერ იქნა და ვერ შეეჩვია ხვრინვას. ახლაც ვეღარ მოითმინა, წამოდგა და გვერდი უცვალა მძინარე ბიჭს. როგორც იქნა ჩაეძინა და მაშინვე წითელი კერპი დაესიზმრა.

ბნელში მეწამულად მოჩანდა კერპი, არც მზე ანათებდა და არც მთვარე, სისხლიანი ტანსაცმელი ეცვა და იმიტომ იყო გაწითლებული. სოფელს წამოსდგომოდა თავზე და პირქუშად დუმდა.

ნაკაწრი ასოები სიბნელეს წაეშალა, მაგრამ უწარწეროდაც ბევრისმთქმელი იყო „დოტებზე" იდაყვებით დაყრდნობილი წითელი კერპის დუმილი...

●

ვესტამ ჭიქურად შემოაღო პალატის კარი, უყვირა და თვალები აჭყეტინა ბიჭებს. სიჩოვსაც კი გაეღვიძა.

— ადექით, ვახშმის დროა, ამაღამ რაღა უნდა აკეთოთ! — დაიძახა და გაქრა.

დერეფანში ნაბიჯების ხმაურმა იმატა, ბიჭები და გოგონები ვახშამზე მიდიოდნენ და ერთმანეთს მხიარულად ელაპარაკებოდნენ.

— ათ წუთში კინო დაიწყება ტელევიზორში, — თქვა ვიღაცამ.

სიჩოვს პალატაში მოართვეს ვახშამი, ჯუბი და ფანისი კი სასადილოში წავიდნენ.

იქ ხალხმრავლობა იყო. ვესტა უკვე მიირთმევდა ვახშამს, მერე ყურძნის წვენი დააყოლა და წამოდგა.

— იჩქარეთ, თორემ კინოში დაგიგვიანდებათ. იცით, რა სურათია! — თქვა და გავიდა.

დერეფნის ბოლოს, ვრცელ ოთახში თანდათან იკრი-

ბებოდა ნავახშმევი ხალხი. ჯუბი და ფანისი როცა გამოჩდნენ, ტევა აღარ იყო ტელევიზორთან.

ძველ სურათს აჩვენებდნენ. ეკრანზე ისევ ციმციმებდა ტიტრი: „თქმულება ციმბირის მიწაზე“.

პირველსავე კადრებში საბჭოთა ჯარისკაცები გამოჩდნენ მტრის ნახევრად დანგრეულ ქალაქში. ევროპაში აღმოსავლეთიდან შედიოდა თავისუფლების გაზაფხული.

„აი ისინი, ვის ნაკვალევსაც წავაწყდით წეღან. ზედვე ეტყობათ, რომ ბევრი უვლიათ... მართლა ისინი არიან... შუა რუსეთის ტრამალებიდან დაძრულები საიერიშოდ, საძმო საფლავებზე გამოვლით, ტყვის წვი-



მებში დაცოტავებულნი და მაინც მისულნი საბოლოო მიზანთან“, — გაიფიქრა ჯუბიმ.

ვალიკო გელიაშვილიც მათ გვერდით მიაბიჯებდა, მასაც მიჰქონდა მეომრის მხრებით აღმოსავლეთიდან დაძრული თავისუფლების სიო, მიჰქონდა, მაგრამ ვეღარ ატარა, ვეჩერნიცასთან შემოაღამდა სამუდამოდ... თუმცა ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ცოცხალი დარჩა; განა ცოტა დადის ქვეყანაზე ხეიბრის ეტლით, მანქანითა და ყავარჯნებით?

ომის ეპიზოდები დამთავრდა ფილმში, იქაც ხეიბარი უბრუნდებოდა მშობლიურ მხარეს.

ფიქრმა აღარ მოასვენა, ვეღარ შეძლო სურათის ცქერა და შეუმჩნევლად გაეცალა ფანისს. პალატაში დაბრუნდა, კონვერტი აიღო და გარეთ გავიდა.

ქუჩები და პარკის ხეივნები სავსე იყო ხალხით. სასტუმრო „შუქურას“ ფასადზე მწვანე-წითლად ენთო რეკლამა. საკურორტო ქალაქი მხიარულობდა, ნეონის ნათურებით იყო გაჩახჩახებული. ვარიეტეებიდან ხალისიანი მუსიკა ისმოდა. ბარის შემინულ კედელს მიღმა ფერად შუქში გახვეული მოხდენილი ლანდები ცეკვავდნენ.

„ფოსტა-ტელეგრაფი“ — კიაფობდა წარწერა ორსართულიანი შენობის თავზე. ჯუბი ვიღაც ქალს შეეჯახა შესასვლელთან, უკან დაიწია და ბოდიში მოუხადა. დარბაზში ცოტა იყო ხალხი, სათვალიანი მოხუცი ქალი ამანათს უგზავნიდა ვიღაცას შორეულ ჩრდილოეთში, იქვე დეპეშის ბლანკს ავსებდნენ მაგიდასთან დახრილი გოგონები. კონვერტი ჩააბარა და უკან გამობრუნდა.

სამკურნალო ტყე-პარკის მთავარი ხეივანი დღესავით იყო განათებული.

ჯუბი გვერდითი ჩაბნელებული ხეივნით წავიდა. უკაცრიელი ხეივანი ხეთა ხშირი ტოტებით იყო გადახურული და სადღაც იქით ზედა პარკის კლდოვან ტერასს ებჯინებოდა. საკმაოდ მაღალ კლდეზე გროტი იყო გამოკვეთილი. გროტს მინავლული მომწვანო შუქი ანათებდა და კლდის სიღრმიდან სიმფონიური მუსიკა ისმოდა გაუთავებლად. მელოდიას მელოდია ცვლიდა.

ჯუბი მოაჯირთან შედგა და უინტერესოდ მოათვალიერა გროტი. წასვლა დააპირა, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა. მოეყურა თუ რა? შორს, ტრამალში, თითქოს იქუხა ზარბაზანმა და შექანდა მიწა... არა, ეს დოლი იყო, დიდი მძიმე დაფდაფი, დასტური მისცა ფანფარების დაძახილს და აიძრა მრისხანე მუსიკა — ერთმანეთს შერკინებული სასიკვდილო იარაღის მჭისე, გულის გამგმირავი ხმები.

ჯარის მწყობრი ნაბიჯები... ზავთი, ზავთი, ზავთი.

მყეფარე გათვლა უცხო ენაზე. დოლები — ტყვიამფრქვევის გამცხრილავი ჯერი...

ფეხაწყობით მიდიოდნენ ათასეულები.

დოლის გამცხრილავ ჯერს მოუსავლეთში მიჰყავდა მილიონები...

ბათქი... კვამლის ავარდნილი სვეტი, ტრამალზე გაშლილი შემტევი ჯარისკაცების მწკრივი, კვამლს გადევნებული გახუნებული მოძრავი გიმნასტურა, ბეჭებში მარილად ამოსული ოფლი...

კვლავ დოლის ჩხირების გამცხრილავი ჯერი...

კვამლში დანთქმული ოფლიანი გიმნასტურები, ხანძრების ალით გავარვარებული მეწამული კლდე...

ვალიკო გელიაშვილი...

ფიქრიდან გამოერკვა, მიმოიხედა და გზა განაგრძო.

„აი თურმე როგორ უსმენენ სიმფონიურ მუსიკას“, — გაიფიქრა და ნასიამოვნები დარჩა თავისი აღმოჩენით.

სანატორიუმში გვიან დაბრუნდა. პალატაში შუქი აღარ ენთო, უკვე ეძინათ ბიჭებს. უხმაუროდ გაიხადა და დაწვა, მაგრამ ძილი არ მიჰკარებია. წამოდგა და ტრუსისამარა გავიდა დერეფანში.

სხვენზე გამავალი ხის კიბის შეღებილ საფეხურებზე მასავით ლოგინიდან წამოცვენილი თეთრმაისურიანი ბიჭები ისხდნენ. ალბათ დღისით გამოიძინეს და ახლა მშობლიურ მხარეზე მოგონებებით იქცევდნენ თავს.

მაღალი, ჩამოფხავებული ბიჭი ვოლგაზე ხე-ტყის დაცურების ამბებს ჰყვებოდა. იქ გასულ ზაფხულს ემუშავა ამხანაგთან ერთად.

— გავხედე ბნელეთს და, ვხედავ, სამი თეთრი შუქი ანთია ანძაზე. მეზღვაურთა ენაზე ეს ნიშნავს — ბუქსირი ტივს მოათრევსო. სიგნალი მოგვცა და მარცხენა ბორტზე აანთო შუქი — მხარმარცხნივ გვითმობდა გზას. მე ვიაზრე, რომ ის იყო კოლკას ბუქსირი. მარცხენა ბორტთან მივედი და, როგორც კი გაგვისწორდა, გავძახე. მაშინვე მიპასუხა...

— განაგრძე, ეგოროვ, განაგრძე, — შეეხმიანენ ბიჭები.

გეყოფათ, ძილის დროაო, ჩაილაპარაკა ეგოროვმა, გემრიელად დაამთქნარა და წამოდგა.

ბიჭები აიშალნენ, ჯუბიც წამოდგა და ფეხაკრეფით წავიდა პალატისაკენ.

•

ელისა აფორიაქებული ბრუნდებოდა სოფელში. მის ნორჩ მხრებს თითქოს ტვირთად აწვა წითელ კერპთან გამეფებული მძიმე დუმილი. თავჩაღუნული მიდიოდა ოთხთვალებისგან გადატკეპნილ გრუნტის გზაზე.

გულს უკლავდა გრიზლის ნათქვამი. რა დაურიდებლად წამოსძახა იმ უცხო ხალხთან, დეიდა გლიკერია ურევდაო. განა მართლა ურევდა? მართალია, ზოგი რამ კარგად აღარ ახსოვდა და თავისსავე გამონაგონს იშველიებდა ხოლმე, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სრულ ჭკუაზე აღარ იყო?..

შორიდან შეიძლება ასე გამოიყურებოდა, რაკი არავის ეკარებოდა და განდეგილად ცხოვრობდა. უკანასკნელ ხანს სკოლასაც დაანება თავი... აღარ შეეძლო. წლობით ტანჯავდა ნერვიული აშლილობა და აუტანელი თავის ტკივილი. როგორც უფროსები ჰყვებოდნენ, ომის დროს იგი, ჯერ ისევ ბავშვი, შეეპყრო საველე საიდუმლო პოლიციას და გამოტეხის მიზნით ეწამებინა...

ახლა კი გრიზლისნაირებს შეუძლიათ იყბედონ, დეიდა გლიკერია ურევდაო. თავისებური კი იყო საცოდავი, ბოლო ხანებში წითელი კერპის სანახებისაკენ დასჩემდა სიარული. წავიდოდა საღამოს და გვიან ღამემდე აღარ ბრუნდებოდა. ნადავ იქ ატარებდა ზაფხულის საღამოებს.

და საბოლოოდ იქ დაასრულა სიცოცხლე... მზითუკან სახლიდან გასული აღარ დაბრუნებულა, დილით კი მკვდარი იპოვეს კატაკომბთან.

ცხვირბოლოკა მარკუშა წასწყდომოდა დილით, მენავე მარკუშა. მას ეთქვა, წუხელ წკვარამი ღამე იყო, წითელ კერპთან ბურთისებრი ელვა დაეხეტებოდა, ცხადლივ ვნახე, ქვაბულში როგორ ჩაძვრაო... ის მოკლავდაო, ამტკიცებდა.

სოფელს სიცილად არ ეყო მარკუშას ნაბოდვარი, ქალის სიკვდილის მიზეზი კი მაინც მოუკვლეველი დარჩა.

სწორედ ამის გამო ეშინოდა ელისას, სწორედ ამიტომ არ ეკარებოდა დეიდა გლიკერიას ოთახს. ახლა კი, შინ მივიდოდა თუ არა, აუცილებლად შეიხედავდა გლიკერიას სამყოფელში, ბაბუსიას შეიყოლებდა და ისე შეიხედავდა.

ამ ფიქრებით შეპყრობილი შევიდა სოფელში და



თვითონაც ვერ გაიგო, ისე მიადგა ბებიის სახლს. ბებია ჭასთან ახლოს ფუსფუსებდა, სალამზე ხალისიანად უპასუხა და გამოსძახა, შედი შინ, ახლავე მოვბრუნდებიო.

დეიდა გლიკერიას ოთახის კარი, როგორც ყოველთვის, გამოკეტილი იყო, მაგრამ მიწოლისთანავე გაიღო. ელისამ გაბედა და წინ წადგა ნაბიჯი...

კედლიდან დიდმა სურათმა შემოანათა ნაღვლიანი თვალებით. როგორ შეიძლებოდა, რომ ამ თვალებს შეუმჩნეველი დარჩენოდათ ამქვეყნიური ყველა სილამაზე და არ ეგრძნოთ მათით მონიჭებული სიხარული?

დეიდა გლიკერიამ უსიხარულოდ გალია სიცოცხლის გზა, სულ მარტო იყო ბოლომდე, მხოლოდ დედა ჰყავდა სიახლოვეს.

საწერ მაგიდაზე ისევ ეწყო მეორე კლასის მოსწავლეთა რვეულები. ორ დასტად ეწყო, აქეთ და იქით. შუაში კი, სქელი მინის ქვეშ, გლიკერიას ქალიშვილობისდროინდელი სურათები მოჩანდა მოსწავლეებთან ერთად გადაღებული.

ელისას ახლა სურათებისათვის არ ეცალა, მით უმეტეს ბავშვების სურათებისათვის, სხვა ფიქრებს შეეპყრო მისი გონება.

საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია. შიგ თმის სარჭები ეყარა, კრემიანი ქილები და პუდრის კოლოფები ეწყო. მაშინვე დახურა უჯრა და განერიდა. რატომღაც შიშს ჰგვრიდა მკვდარი ადამიანის ნაქონი, ნახმარი საგნები, მაგრამ იმითი იმაგრებდა გულს, რომ ეს მკვდარი მისი დეიდა იყო.

წიგნების თაროებთან მივიდა. დამტვერილი, ფურცლებგადაყვითლებული წიგნების გადათვალიერებას რა აზრი ჰქონდა? მაინც სცადა.

მათ შორის აღმოჩნდა წიგნები წარწერებით, მეგობრებისაგან ნასახსოვრები. ერთი რამ შენიშნა ელისამ: წიგნების უმეტესობა ომის თემას ეხებოდა. აქ იყო საგანგებოდ ჩანიშნული გვერდები, ფურცლებშუა ჩატოვებული მჭკნარი ფოთლები, ვინ იცის, როდინდელი ფოთოლცვენის სახსოვარი...

ელისამ ფანჯარა გამოაღო, სული მოითქვა. წინ გაშლილი ველი იდო. ნაკადულისპირა ნაწვერალზე ბატები ბალახობდნენ.

ელისა კვლავ წიგნებს მიუბრუნდა, კიდევ ერთი დასტა გადმოალაგა, მის ქვეშ იდო ზონრებით შეკრული სქელი, ვარდისფერი საქაღალდე. ეტყობოდა, რომ თაროედი სხვისი ხელით იყო დალაგებული გლიკერიას სიკვდილის შემდეგ. — ამ ლამაზ საქაღალდეს აქ არ დასდებდა პატრონი.

გოგონამ წიგნები გვერდზე გადააწყო და საქაღალდე გახსნა. აქ იყო ძველისძველი წერილები, ფოტოალბომი და მწვანეყდიანი საკანტორო წიგნი...

ბებია შემოვიდა დერეფანში და გოგონა მოისაკლისა.

— ბაბუსია, ფოტოებს ვნახავ, რა, — გამოსძახა ელისამ.

ბებია ნელა შემობაჯბაჯდა, თეთრი თავშლის ყურები ჩამოიშალა და შემჭკნარი ხელების ჩვეული მოძრაობით შეისწორა თეთრი თმა.

— არ გინდა, ჩემო მტრედო, ტყუილუბრალოდ გულს დაიმძიმებ. აბა რას ნახავ სამხიარულოს სევდავსილი გოგოს ცხოვრებაში.

სანამ ელისა სურათებს ათვალიერებდა, ბებია გვერდიდან არ მოშორებია, უპეებში ღრმად ჩამჯდარი ლურჯი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

ბებიის განწყობილება გოგონასაც გადაედო, გული ამოუჯდა, ცრემლი მოადგა. ფოტოებში ჩანდა წლები, უფრო კი ომის მძიმე წლები, ტანკისტები, მფრინავები, ფარაჯაგადაცმული ქალიშვილები. იყო ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ამოჭრილი ფოტოსურათებიც, მაგრამ არსად ჩანდა რაიმე მინიშნება ვეჩერნიცასთან და წითელ კერპთან ატეხილ ბრძოლებზე.

ალბომი დახურა და ახლა საკანტორო წიგნი გადაშალა. აქ კი გაკვირვება ელოდა ელისას: თავდაუცველი ეჭირა ხელში და ფართოდ გახელილი თვალებით დააჰყურებდა გადახუნებულ ფურცლებს. ორნამენტში იჯდა ყოველი გვერდი. აქ იყო ხალხური სიმღერების ტექსტები, დამშვენებული ბაზრული სურათებით, ლირიკული ლექსებით, უბრალოდ, დღიურის მსგავსი ეპიზოდური ჩანაწერები. ელისამ დახურა ჟურნალი და აფართქალებულ გულზე მიიხუტა.

— ბაბუსია, წავიღებ, რა, ამ ჟურნალს, — შეეხვეწა.

შეატყო, მოხუც ქალს არ ემეტებოდა, არ უნდოდა მისი ოჯახის გარეთ გატანა. ელისა მოეფერა, დაიფიცა, წავიკითხავ და მოგიტანო. ბებია მაინც ყოყმანობდა.

— დედას გეფიცები, ძეხორციელს არ ჩავახედებ შიგ.

უკვე კარგა იყო დაბინდებული, შინ რომ დაბრუნდა. დედა ელოდა. მას ალბათ ეგონა, რომ გოგონა ქალაქიდან დაბრუნდა და კითხვებით აღარ მოასვენა. მერე, რაკი შეატყო, გუნებაზე არ იყო, იმაზე დაფიქრდა, ვის რა უნდა ეწყენინებინაო, კითხვა დააპირა, მაგრამ ელისამ დაასწრო:

— უბრალოდ დავიღალე, სხვა რა უნდა იყოს. ვივახშმებ და დავწვები.

დედამ უარი თქვა ვახშამზე, მამაშენს დაველოდებიო. ელისამ უმადოდ წაიხემსა, საძინებელ ოთახში გავიდა და სასთუმალთან აანთო შუქი.

დედის ზედამხედველობისაგან თავისუფალი იყო, თვითონ აწესრიგებდა თავის რეჟიმს. სახვალიო გაკვეთილების დარდი არა ჰქონდა, შაბათსავე ნასწავლს ერთი გადახედვა თუ დასჭირდებოდა.

გადაშლილი ჟურნალი ედო წინ და ყავლგასულ სასიმღერო ტექსტებს კითხულობდა. რა იყო აქ მისთვის საინტერესო? მოსწყინდა, ძილიც მოერია.

იქნებ სულაც გამოეტოვა ყველაფერი და ბოლო ჩანაწერები გაესინჯა? იმას მაინც ნახავდა, სად შეუწყდა ფიქრი განდეგილ ქალს.

ბოლო ჩანაწერი სწორედ იმ წლის მაისით იყო დათარიღებული, როცა გლიკერია დაიღუპა. აქ ალბათ არეკლილი იქნებოდა სიკვდილისწინა დღეების ფიქრები.

„თურმე მარტო მინდვრებს არ ნაღმავენ ომის დროს, თურმე გულშიც შეიძლება დაგიტოვონ ნაღმი. გავა წლები, სადმე, ოდესმე შეეხები და იფეთქებს უსაშველო სევდით...

გაიხსნას ჩემი სიკვდილის შემდეგო, აწერია მის მიერ დანატოვარ ნივთს. ვინ უნდა გახსნას იგი, თუ არა მე?.. გავხსნიდი, მაგრამ ეს ხომ უკვე მის სიკვდილს ნიშნავს. მე კი არ მინდა დავიჯერო, რომ ის და მისთანები აღარ არიან...

ზოგჯერ მგონია, გავალ წითელ კერპთან და ისიც გამოჩნდება, ან ქვაბულიდან გამოვა, ან გაუვალი ჭაობებიდან მოვა ხეებზე გაჭიმული საიდუმლო ხიდით. მოვა და სწორედ ისეთს ვიხილავ, პირველად რომ ვნახე და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ათსჯერ სიზმრად მჩვენებია — გაღიმებულს, გულზე ჯვარედინად გადაკიდული ავტომატით, ქოჩორისა და პირგაუპარსავს, ჯან-ღონით სავსესა და დაუდეგარს...

დავდივარ, ვეძებ, ველოდები, ის კი არა ჩანს, აღარ აპირებს მოსვლას. იქნებ მეცადა კიდევ ერთხელ?.. არადა, მოსვენებას არ მაძლევს მისი ტყავის ქურთუკი... პატრონის ფართო მხრებს ელოდება... როგორ მოვიშორო?.."

აქ წყდებოდა ჩანაწერი.

ელისა დაფიქრდა. რას ნიშნავდა ეს ყოველივე? ნუთუ დეიდას ჰქონდა რაღაც საიდუმლო, რომელიც ბოლომდე აწამებდა?. იქნებ ავად იყო და აჩემებული ჰყავდა ვინმე არარსებული?.. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას, განა ვის უნდა დაეტოვებინა მისთვის სამახსოვრო ნივთი წარწერით, გაიხსნას ჩემი სიკვდილის შემდეგო? იქნებ წერილია, დალუქული კონვერტი. ორსავე შემთხვევაში საინტერესო ამბავი ჩანს, თუ რეალობას მოკლებული არ არის... თუ კონვერტი არა, ტყავის ქურქი ხომ ადვილი საპოვნია.

„ძალიან გვიან რომ არ იყოს, ახლავე გავიქცეოდი", — გაიფიქრა, მაგრამ რომ წარმოიდგინა, გლიკერიას ოთახში მოუხდებოდა შესვლა, შიშით გააკრჟოლა.

ეზოდან ხმაური მოისმა. მამა შემოდიოდა ჭიშკარში, ახლა არავისთან ლაპარაკი არ შეეძლო ელისას, მამა კი აუცილებლად შემოიხედავდა. შუქი ჩააქრო, საბანში გაეხვია და ძილს მისცა თავი.

●

პიონერთა ოთახში შეკრებილებს ზოია კოსმოდემიანსკაია დაჰყურებდათ. ვეებერთელა ჩარჩოდან თავისი ნათელი თვალებით გადმომზირალი თითქოს ესიყვარულებოდა, უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად აქეზებდა. ეს კუთხე წმინდათა წმინდა იყო მოსწავლეთათვის, აქ განდობილი ყოველი სიტყვა ფიცქვეშ ნათქვამსა ჰგავდა.

ელისამ აქ მოუყარა თავი ამხანაგებს, წინასწარ ზეიმობდა, რომ განაცვიფრებდა მათ თავისი აღმოჩენით და, რაც მთავარია, გრიზლისაც უკან წაალებინებდა თავის დაცინვას.

დეიდა გლიკერიას ჩანაწერებში ამ დილით ისეთ საინტერესო ფაქტებს წააწყდა, რომ გაჩუმება აღარ შეეძლო. ძალიან მოუნდა თავისი აღტაცება სხვებისათვისაც გაენდო, მაგრამ როგორ? მან ხომ სიტყვა მისცა ბაბუსიას, შიგ არავის ჩავახედებო? ადგა და ამოწერა ერთი პატარა თავი.

— წაიკითხე, რაღას უცდი, — შეახსენეს.

არ შეუხედავს, ვინ ეკითხებოდა, წასაკითხი ტექსტი უთრთოდა ხელში.

— შეკითხვები ბოლოსთვის შეინახეთ, ნუ შემაწყვეტინებთ, — ესა თქვა მხოლოდ.

„პენოტაფი

ხსოვნაში ცოცხლობენ გმირთა აჩრდილები,
გარდასული წლების გულში ჩაკვდა ვნება,
მიწას შერჩა მხოლოდ წმინდა ადგილები
ველად მიმობნეულ ზვიად აკლდამებად.

ტრამალებზე ვინ შეწყვიტოს წივილა ბალახების სევდიანი მოთქმა? ეს ხომ დატირებაა საძმო საფლავებისა, მიწის კვნესაა გაუთავებელი.

ყორღანების სამკაული მარტო სევდა არ არის.

აქვთ სასაფლაოებსაც ზნეობრივი სიმაღლეებით დაცული ნათელი ფიქრის ნაკრძალები.

აქვთ ამ ადგილებს თავიანთი ღირსება და სიამაყე — ისინი ხომ უკვდავებას ინახავენ... მაგრამ ყველას ერთ-

ნაირი პატივი როდი რგებია, აქაც არიან სახელოვანნი და უსახელონი.

არის ადგილები, თაობათა მოწიწებული თაყვანისცემა რომ არ მოაკლდებათ არასოდეს. სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და ვაჟკაცობის სიმბოლოებად აღმართულან ობელისკები, ძმათა სასაფლაოს ვარსკვლავები, მონოლითები. ზვიადი უბრალოებით შეგძრავენ ბორცვები, უცნობ ჯარისკაცთა საძვალეები.

არის ადგილები — დედამიწის შავი ლაქები, სადაც მუდამ იგრძნობა ადამიანის სისხლის სუნი — საკონცენტრაციო ბანაკები...

არის ადგილები (მიწა გულმოწყალეა), სადაც მარხიან ფაშისტი ჯალათები. აქ ბორცვები დაბლდებიან, მალავენ თავიანთ არსებობას...

არის ადგილები — წაშლილი საფლავები, რომელთაც არავითარი ნიშანი არა აქვთ. არ ღირსებიათ არც აკლდამა, არც ყორღანი და არც ჯვარი ხისა.

და არის ადგილები — ცარიელი აკლდამები, სადაც ივანებდნენ, მაგრამ აწ აღარ წვანან ცხედრები...

კენოტაფები — უგვამოდ დარჩენილი საფლავები.

წითელი კერპი... კენოტაფია.

აქ დაიღუპნენ ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში პარტიზანები და საბჭოთა არმიის მეომრები...

წითელ კერპს ბარე ერთ კვირას ებარა მათი ცხედრები. მერე კი ხელჰყვეს ისინი მძარცველებმა. ფაშისტებმა სათითაოდ გაჩხრიკეს გვამები, ტანსაცმელი გახადეს და ისე ჩაჰყარეს ერთიან საფლავში...

სიცოცხლე წაართვეს და ამასაც არ დასჯერდნენ — წაართვეს სახელებიც.

და დგას ტრამალში თავის ბედზე გულდაწყვეტილი უცხედრო აკლდამა — წითელი კერპი... დიდი და წმინდა კენოტაფი".

— ეს ხომ შენი ნაწერია, — ფურცელს ამრეზით დახედა გრიზლიმ, — მე კი მეგონა...

— შენ რაც გინდა გეგონოს, დედანს, საიდანაც ამოვწერე, ვერ გაჩვენებთ.

— ყოველ შემთხვევაში, ეგ ჩანაწერიც ახალს არაფერს ამბობს წითელ კერპზე... თხზულებაა და მეტი არაფერი, — გრიზლის გამომწვევად ეჭირა თავი.

ელისას მოთმინება აღარ ეყო.

— შენ თვითონ ხარ თხზულება, შე ცივსისხლიანო! ამ ნაწერების გადამკიდე მთელ ღამეს არ მძინებია, შენ კი... თუ იმ ნივთებს მივაგენი, რაც ამ ჩანაწერებში არის ნახსენები, მაშინ ნახავ, როგორი თხზულებაც იქნება.

ელისამ ფურცლები დაკეცა, ჩანთაში ჩადო და ამაყად თავაწეული გაჩერდა ამხანაგების წინ.

— რა ნივთებია? — იკითხა ოსკარმა.

— წინდაწინ არ ღირს ლაპარაკი. უფრო სწორად, თქვენთან არ ღირს. იმასაც კი ვერ მიხვდით, რომ ამ ჩანაწერშიც არის დამატებითი ცნობა, იმის გარდა, რაც ჩვენ ვიცით კენოტაფზე. ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ მაგ უკანასკნელ ბრძოლაში ერთად იყვნენ პარტიზანები და საბჭოთა არმიის მეომრები, აქ კი წერია... ჰო, რა უნდა გელაპარაკოთ, — ელისამ ხელი ჩაიქნია და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

— რა მოუვიდა? — მხრები აიჩეჩა გრიზლიმ, ტუჩები დაიპროშა და ხელები გაპარჭყა.

ბიბლიოთეკა

გარეთ წვიმდა.

ჯუბის ბალიში შეემაღლებინა და ფანჯრიდან ხედავდა, დამფრთხალი ჩიტებივით როგორ ცვიოდნენ ძირს დამძიმებული ფოთლები.

ნასადილევს თვალი მოატყუა და ახლა საძაგელ გუნებაზე გამოეღვიძა. საკონცერტო ოთახიდან ორჯერ მოაკითხეს ბიჭებმა, მუსიკის მასწავლებელი გეძახისო. წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ კართან მესამე შიკრიკი აისვეტა. სლავკა სიჩოვი იყო.

— გეძახიან.

— უშენოდაც ვიცი.

— არაფერიც არ იცი, — გაეცინა სიჩოვს. ხმელხმელი ბიჭი იყო, გამხდარ სახეზე გრძლად მოუჩანდა მახვილი ცხვირი. — აბა თუ მიხვდები, ვინ გეძახის'

ჯუბიმ ეჭვით შეხედა, რა აცინებსო, ჩაცმა დაამთავრა, სიჩოვის წინ იდგა და ჯიუტ ქოჩორს ივარცხნიდა.

— გარეთ ბიჭები გიცდიან, — უთხრა სიჩოვმა და ბლუზაზე ღილი შეუბნია.

— ვინ ბიჭები?

— რა ვიცი, აქაურები ჩანან. დაბლა ვიყავი წერილის ჩასაგდებად და შემოსასვლელთან გამაჩერეს, კიბის თავზე დგანან.

ჯუბი უკვე აღარ უსმენდა, კარს ეცა და დერეფანში გავარდა.

კარნიზქვეშ წვიმას შეფარებულები იდგნენ ოსკარი, გრიზლი და ელისა. გოგონასაც შარვალი ეცვა, კეპი ეხურა და ჟაკეტის შიგნით ჰქონდა ჩატანებული გრძელი ნაწნავი. ალბათ ამიტომ ისიც ბიჭი ეგონა სიჩოვს

ჯუბი დაინახეს თუ არა, გაღიმებულები შეეგებნენ. მიესალმნენ, მოიკითხეს.

— თბილისიდან არაფერი ისმის? — ჰკითხა ოსკარმა.

— წუხელ ძმას ველაპარაკე ტელეფონით. ჩემი წერილი მიუღიათ და სკოლის წითელ კვალმაძიებლებს გაზეთ „ნორჩ ლენინელში" გამოუქვეყნებიათ მიმართვა რესპუბლიკის ყველა პიონერისადმი, რომ დაადგინონ, ვინ იყო ვალიკო გელიაშვილი. ძმამ მითხრა, თითქმის ყოველდღე დავდივარ რედაქციაში, მაგრამ ჯერ არავის არაფერი შეუტყობინებიაო.

— ჩვენ კი, მგონი, კიდევ რაღაცას მივაგენით, უფრო სწორად, ელისამ მიაგნო, — თქვა ოსკარმა და ტყავის საქაღალდედან ყავისფერი კონვერტი ამოიღო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვებო, ჩვენს ჟურნალს წელს დაარსებიდან 50 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ განმეორებით გამოვაქვეყნოთ ჟურნალ „პიონერში“ სხვადასხვა დროს დასტამბული საუკეთესო ნაწარმოებები.

გადავწყვიტეთ აგრეთვე შევეხმიანოთ „პიონერის“ ყოფილ ნორჩ კორესპონდენტებს.

ამჯერად გთავაზობთ მწერალ როდიონ ქორქიას მოთხრობას — „თავდადება“, პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ლექსს — „პიონერულ შეკრებაზე“ და ყოფილი ნორჩი კორესპონდენტის, კომპოზიტორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, პროფესორ რევაზ გაბიჩვაძის საუბარს.

# წინამძღოლი კვალი

— არასოდეს დამავიწყდება ის გრძნობა, რომელიც მე განვიცადე „პიონერის“ რედაქციაში პირველად მოსვლის დღეს. ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, მაგრამ დღესაც ნათლად წარმომიდგება სასიქადულო მწერალი ქალის, ჟურნალ „პიონერისა“ და „ნაკადულის“ რედაქტორის, ნინო ნაკაშიძის მომღიმარი, ალერსიანი სახე, რომლითაც იგი ყოველთვის ხვდებოდა მოსწავლეებს. რედაქციაში მისვლა ჩემთვის ყველაზე სასიხარულო იყო. მინდოდა პოეტი გამოვსულიყავი, რაც ჩემს ბავშვურ ოცნებას წარმოადგენდა. მახსოვს ის დღეც, როდესაც ჟურნალი „ნაკადული“ გადავშალე და პირველად მის ფურცლებზე დაბეჭდილი ჩემი სიმღერა „ნაკადული“ დავინახე, რომლის ტექსტიც მე მეკუთვნოდა. მაშინ ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, და ეს სიხარული — პირველი დაბეჭდილი ლექსისა, მუსიკისა, — განუმეორებელია. მას ვერაფერს შევადრი. ასე დაიწყო ჩემი პატარა მოღვაწეობა ჟურნალ „ნაკადულსა“ და „პიონერში“, რა-



მაც შემდგომ დიდი როლი ითამაშა ჩემი შემოქმედებითი ბედის გადაწყვეტაში. მეტიც, „პიონერის“ ფურცლებზე ჩემი ლექსებისა და სიმღერების გამოქვეყნებამ, ამ ჟურნალთან ურთიერთობამ, ბევრი რამ შემცინა, მან დიდი გავლენა მოახდინა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ამასთანავე მინდა შევახსენოთ, ჩემო პატარა მეგობრებო, რომ ჩემი თაობის პიონერ-მოსწავლენი არ იყვნენ ცხოვრების მიერ განებივრებულნი. ჩვენ ბევრი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა გვიხდებოდა, რომ კარგად გვესწავლა და ჯეროვანი ცოდნა შეგვეძინა. ეს იყო წლები, როდესაც საბჭოთა ქვეყანა ახლად იდგამდა ფეხს და ჩვენ ყველას გვჯეროდა ჩვენი დიდი მიზნების განხორციელებისა, ნათელი მომავლისა. ამიტომ ბეჯითი და მუყაითი შრომითა და სწავლით ვეხმარებოდით უფროსებს ახალი ცხოვრების შენებაში.

ხელოვნება ბავშვობიდანვე ჩემი ცხოვრების ოცნება იყო. გატაცებით მივდევდი პოეზიას, მუსიკას, მხატვრობას. ჩვენი სკოლის კედლის გაზეთში უხვად იყო მიმობნეული ჩემი ლექსები, პროზა, ნახატები, მუსიკალური ნაწარმოებები. კედლის გაზეთების მრავალგზის რედაქტორიც ვიყავი და დიდი მონდომებითა და სიყვარულით ვმუშაობდი ყოველ ახალ ნომერზე, გემოვნებითა და ფერადოვნად ვაფორმებდი მას.

იმ დროს ჩემი სათაყვანებელი პიროვნებები გახლდათ: ბეთჰოვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა







## გ ი ო რ გ ი   ქ ე ჩ ი შ ვ ი ლ ი

ჩუ!
ზარის ხმა!
ჩემს კარებთან
აწკრიალდა ბავშვთა ხმები!
უსაყვარლეს ნორჩ მეგობრებს
აღტაცებით ვეგებები!
„პიონერთა შეკრებაზე
ჩვენი რაზმი გიწვევთ, ძია!“ —
მთხოვეს ერთხმად
და პასუხიც
ერთი იყო:
შემიძლიან!
და გავყევი...
სკოლის კართან
წამოვიდა ბავშვთა ტალღა
და ამ ტალღამ ბუმბულივით
ამიტაცა უმალ მაღლა!
აი კლუბი: აქ, სცენაზე
„კოცონია“ შუქით სავსე;
ალერსით და
ტკბილ ტიკტიკით
სავარძელში მომათავსეს.
მახარებდა მათი სიტყვა
და ლექსები მათგან თქმული;
სიმღერები, ტანვარჯიში,
ქივქივი და...
ტაშ-დავლური!
საპატიო პიონერად
ამირჩიეს ერთსულოვნად
და წითელი ყელსაწვევიც
გამიკეთეს ნიშნად, ხსოვნად!
ფიცი დავდე,
რომ გულმტკიცედ
შევინახავ მათ ყელსახვევს,
რომ არასდროს არ შევარცხვენ
საპატიო ძვირფას სახელს!
და სარდლობამ თუ მიბრძანა,
თუ მეც ომში გამიძახეს,
როგორც წითელარმიელი
დროშად გავშლი ამ ყელსახვევს
და მაშხანით ვკვეთები,
ჩვენი საზღვრის გადმომლახველს.

დაიბეჭდა „პიონერში“
1945 წელს.

მხატვარი ი. სამსონაძე.

და შოპენი, გრიგი და ფალიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე, ახალგაზრდა ქართველი საბჭოთა პოეტების რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელი, რომელთა გამოსვლებს მწერალთა სახლში უცილობლად ვესწრებოდი და აღტაცებაში მოვყავდი მათ ახალ ლექსებს. ჩემი დიდი სურვილი იყო ხელოვანი გამოვსულიყავი, მაგრამ ამისათვის დიდი, დაძაბული შრომა იყო საჭირო.

ამასვე გისურვებთ თქვენც, ჩემო პატარა მეგობრებო. გახსოვდეთ, მხოლოდ ბეჯითი შრომა და სწავლა მოგცემთ საშუალებას გამოხვიდეთ ფართო შემოქმედებით ასპარეზზე.

აღზარდეთ თქვენში ზნეობრივი სიწმინდე, მტკიცე ხასიათი, შრომისადმი მაღალი, მოქალაქეობრივი დამოკიდებულება.

ამავე პრინციპებს მივდევ მე ჩემს ხანგრძლივ პედაგოგიურ მოღვაწეობაში და ვცდილობ, როგორც კონსერვატორიის პროფესორი, ჩავუნერგო ახალგაზრდა მუსიკოსებს ეს თვისებები შემოქმედებასა და შრომაში.

რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მე „პიონერის“ რედაქციის კარი პირველად შევაღე და, შეიძლება ითქვას, მასთან მაშინდელმა შემოქმედებითმა ურთიერთობამ სამუდამო კვალი გაავლო მთელს ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებაში. დღეს მე მუსიკოსი ვარ და ჩემს პროფესიას კომპოზიცია წარმოადგენს, ამდენად, ბავშვთა მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის საქმე ჩემთვის, ისევე როგორც ყველა ქართველი მუსიკოსისათვის ახლობელია და ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. ამიტომ ჟურნალ „პიონერს“, რომლის მრავალწლიანი მოღვაწეობა სწორედ ამ დიდ სამამულო საქმესაც ემსახურება, ვუსურვებ მომავალშიც იყოს ნორჩი თაობის გზის მანათობელი, ჩვენი პიონერ-მოსწავლეთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და კეთილი მეგობარი.

**რევაზ გაბიჩვაძე.**

# დაჭრილები

ნამდვილი ამბავი სამოქალაქო ომიდან

როდიონ ქორქია

ტამანის არმია ნოვოროსიისკს ტოვებდა. ქალაქში თეთრები შემოდიოდნენ. წითელარმიელები ჯგუფ-ჯგუფად, ბრძოლით იხევდნენ.

ტამანელთა უკანასკნელმა რაზმმა ერთხანს შეაჩერა თეთრების მეწინავე რაზმი. ამ ხნის განმავლობაში წითელარმიელები გაფაციცებით ცლიდნენ საავადმყოფოებს და ფურგონებით გზავნიდნენ დაჭრილებს უკანდახეული არმიის ალალში. თეთრებს ჩვეულებად ჰქონდათ, პირველ ყოვლისა საავადმყოფოებს დაეცემოდნენ, დაჭრილებს ქუჩაში ჰყრიდნენ და ჰკლავდნენ. ამიტომ საჭირო იყო საავადმყოფოების ევაკუაცია. მაგრამ ტამანელებმა ყველა საავადმყოფოს ევაკუაცია ვერ მოასწრეს. რეიდზე ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ფლოტი გაჩნდა თეთრების დასახმარებლად და ტამანელების არიერგარდმაც ბრძოლით დაიხია.

გარეუბნის რაიკომის მთელი შემადგენლობა უკანასკნელად გამოვიდა ბრძოლის ხაზიდან. ზოგი სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე, ზოგი — მძიმედ დაჭრილი — ალალში გაგზავნეს. მსუბუქად დაჭრილები ნაბიჯ-ნაბიჯ, ბრძოლით იხევდნენ.

მარიას, რაიკომის ტექნიკურ მდივანს, რაიკომის საქმეების წამოღება დაავალეს. მარია უკანასკნელ ფურგონს უნდა გაჰყოლოდა.

მარიამ გადაარჩია საქმეები. ზოგი დაწვა, ზოგი შეკრა და ფურგონზე დაალაგა, ერთხელ კიდევ აირბინა რაიკომში — ხომ არა დამავიწყდა რაო.

მიმოიხედა. კედელზე უბირად ეკიდა კალენდარი. კალენდარს ზემოთ კედლის საათი ბუტბუტებდა დინჯად, წყნარად, თითქოს აქ არა მომხდარა რაო. ფანჯრის პირდაპირ ლენინის სურათი ეკიდა. ლენინი ოდნავ მოჭუტული თვალით გაჰყურებდა შავი ზღვის ნაპირს, თითქოს თვალს ადევნებს ტამანის არმიას, გაასწრებს თუ არა სამშვიდობოსო. ინტერვენტების ფლოტისაგან არმიას მთების ქედი იფარავდა. ალბათ ლენინსაც ამიტომ თუ ჰქონდა კარგი ღიმილი ტუჩის კუთხეში. ოთახის კუთხეში ორი შაშხანა იყო მიყუდებული. იქვე რამდენიმე მჭიდე ქილაგა და ვაზნები.

— შაშხანები დამვიწყებია, — გაიფიქრა მარიამ და [illegible] შაშხანებს.

უცებ კიბეზე აჩქარებული ნაბიჯები მოისმა. ვიღაცა მეზღვაური შემოვარდა, უკან მოსდევდა მეფურგონე წითელარმიელი.

— ვინ არის აქ რაიკომში? — ბოხი ხმით იკითხა მეზღვაურმა.

— რაიკომი ბრძოლის ხაზზეა... თქვენ რა გინდათ, ამხანაგო?

— რა მინდა და ასი ეშმაკი და დოზანა, — დაიგუგუნა მეზღვაურმა. — უნდა დაგვითმოთ თქვენი ფურგონი. თექვსმეტი დაჭრილი წევს გარეუბნის საავადმყოფოში, აი ეგერ!

მეზღვაურმა ხელი გაიშვირა თეთრი, მაღალი შენობისაკენ, რომელიც ფანჯარაში კარგად მოჩანდა. საავადმყოფოზე ჯერ კიდევ ფრიალებდა წითელი დროშა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარია მიუბრუნდა წითელარმიელს და უთხრა:

— წაიყვანეთ ფურგონი. მე დაგეწევით.

უცებ ზღვიდან საშინელი გრიალი მოისმა. გრიალი გაასკეცებული ხმაურით განმეორდა მთის კალთებზე. ინტერვენტებმა დაუშინეს ტამანელებს.

— ასი ეშმაკი და დოზანა! — ისევ დაიგუგუნა მეზღვაურმა. — ეს სალახანები რომ არ ეხმარებოდნენ იმათ...

მეზღვაური და წითელარმიელი საჩქაროდ გაბრუნდნენ.

მარია კარებში დაეწია მათ და მიაძახა:

— მოასწრებთ?

— ათ წუთში ქალაქს გავცდებით. ყველანი მზად არიან. — უპასუხა მეზღვაურმა.

მარია დაბრუნდა. ერთი შაშხანა მხარზე მოიგდო, მეორე ხელში დაიჭირა. ვაზნები ჯიბეებში ჩაიყარა.



უცბად ტელეფონი აწკრიალდა და მარია მივარდა ტელეფონს.

— ალო, რაიკომი... ტექმდივანი... რაო? რაიკომის მდივანი დაჭრეს? სადაა? საავადმყოფოსთან? მოდის... გამოვაგზავნე ფურგონი... მძიმედაა? ოხ! მითხარით...

მაგრამ ტელეფონი ახრიალდა და დადუმდა.

მარია ერთხანს გაშტერებულივით იდგა. მას წარმოუდგა რაიკომის მდივანი, ჰალარა, ჰკვიანი, გულმართალი და მამასავით საყვარელი კაცი. ცრემლები დაედინა და ხალათის ჯიბეში ჩაყრილ ვაზნებს დაეწვეთა.

სადღაც ახლო ტყვიამფრქვევი აკაკანდა. მარია გამოერკვა. მივარდა ფანჯარას, დაინახა: შორიახლოს მოსახვევში ფურგონმა შეუხვია, ქუჩის დასაწყისში კი თეთრების ესკადრონი გაწყობილა. მარიამ საათს შეხედა. სრული პირველი საათი იყო.

— ახ, ათი წუთი... ათი წუთი, — გაიფიქრა მარიამ. — რომ შეიძლებოდეს დროს შეჩერება...

რაფას გადააწვა. საავადმყოფოს კარებს დააკვირდა. აი, მიადგა ფურგონი, ჩასხდნენ დაჭრილები. ზოგი თვითონ, ზოგიც ხელით აიყვანეს. ერთი დაჭრილი ოთხმა კაცმა დააწვინა. მარიამ ქურთუკზე იცნო რაიკომის მდივანი.

— მამილო! — ჩაილაპარაკა მარიამ. რაიკომის მდივანს ყველა მამილოს ეძახდა, მარიაც ასე ეძახდა. — მოასწრებ?

ფურგონი დაიძრა. მარიამ შვებით ამოისუნთქა, ის იყო გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს თეთრების ესკადრონიც ჩორთით დაიძრა. ცხადია, ესკადრონი დაეწევა ფურგონს. მარია გაქვავდა: რაიკომის მდივანი და თექვსმეტი დაჭრილი დაიღუპებიან.

ყველაფერი დატრიალდა მარიას თვალწინ: საავადმყოფო, ფურგონი, ზღვა, ინტერვენტები, ესკადრა, თეთრი ესკადრონი და შორს, მთებისკენ მიმავალი ტამანის არმიის უკანასკნელი რაზმები.

თეთრების ესკადრონის თქარათქური სულ უფრო და უფრო ახლოსაა. მარიას უკვე ესმის ცხენების სუნთქვაც. კიდევ დაიგრიალა ინტერვენტების ზარბაზანმა და მინები ჟღრიალ-ჟღრიალით ჩამოცვივდა.



მარიას გააჟრჟოლა. მეტი დაყოვნება არ შეიძლებოდა, უნდა გაქცეულიყო. გავარდა დერეფანში.

დერეფნის ჩალეწილ ფანჯრებში მკაფიოდ დაინახა თეთრების მეთაური. იგი ქურან ცხენზე იჯდა. ხაკისფერი ინგლისური ფრენჩი ეცვა. მხრებზე კაპიტნის ოქროცურვილი სამხრეები ჰქონდა, ხელში — შიშველი ხმალი. ეტყობოდა, თავს იწონებდა. მარიამ შენიშნა, ლამაზიც იყო კაპიტანი.

— ვერ მოასწრებენ ჩვენები. გულისტკივილით გადაწყვიტა მარიამ. თავისდაუნებურად ფანჯარას გადააწვა. ერთხელ კიდევ შევხედო, სანამდი მივიდა ფურგონით.

მარია რომ ფანჯარას გადააწვა, ოფიცერმა მოიხედა. ლამაზი ქალი დაინახა. ცხენი ერთი წამით შეაჩერა და ქალს დააკვირდა, უკანა რიგებში ცხენები დაიოკეს.

მარიამ შეჩერებული ესკადრონი რომ დაინახა, მოისაზრა, ფურგონი გაასწრებს, თეთრები რომ ცოტა ხანს შეჩერდნენ.

თოვლის ფიფქებს ჰაერში ისე აფარფატებდა, კაცი თვალს ვერ გაახელდა. შუაღამე გადასული იქნებოდა, ქარბუქის შემზარავ ზუზუნს უფრო ამაზრზენი განგაშის ხმა რომ მოჰყვა. აული აბობოქრებულ ვულკანს დაემსგავსა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ბოლშევიკებთან ერთად იარაღით ხელში ფეხზე დადგა. შიკრიკებმა ამბავი მოიტანეს, თეთრების დამსჯელი რაზმი აულს უახლოვდებაო. მათ ისიც აცნობეს, რომ მტრის ძალა ჭარბი იყო აულში გამაგრებულ რევოლუციურ ძალებთან შედარებით. ბრძოლა აშკარად უთანასწორო იქნებოდა. ამ ვითარებაში ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ მუჟიჩი და რაზმი უფრო მაღალმთიან აულებში გადაეყვანათ.

სერგოს პატარა ვიკას ბედი ყველაზე მეტად აწუხებდა. მან ამჯობინა, რომ მოსალოდნელი საფრთხის დროს გოგონა მასთან ახლოს ყოფილიყო, ცხვრის ქურქში გახვეული ვიკა ხელში აიყვანა, სიყვარულით დახედა მის გაბადრულ სახეს და მტკიცედ შესძახა: „წავიდეთ, ამხანაგებო!“ ამ ძახილზე 40 კაცისაგან შემდგარი რაზმი გზას გაუდგა. ქარბუქი არ ცხრებოდა, თოვლის ნამქერი სახეში სცემდა მგზავრებს. გზა ძნელად სავალ ასას ხეობაში მიდიოდა. მთიელები გზას ულოცავდნენ და ჩირაღდნებით უნათებდნენ ბილიკებს.

აულ ერშას გზაზე ვიკა ბეთალ კალმიკოვს მიჰყავდა ხელში აყვანილი. უცებ კინაღამ უბედურება დატრიალდა. თოვლითა და ყინულით დაფარული კლდის ვიწრო ბილიკზე კალმიკოვს ცხენი წაექცა და მოყინულ ფერდობზე მოცურდა. ის-ის იყო, მამაცი ყაბარდოელი რევოლუციონერი ბავშვთან ერთად ხრამში უნდა გადაჩეხილიყო, რომ სერგო ელვის სისწრაფით გაქანდა მისკენ, უფსკრულის პირას მიუსწრო ორივეს, ხელი სტაცა და სამშვიდობოზე გამოიყვანა.

სერგო ორჯონიკიძისა და ბეთალ კალმიკოვის მეგობრობა ყველასათვის სამაგალითო იყო. სერგო ნალჩიკში რომ ჩავიდოდა, მაშინვე კალმიკოვის ოჯახს მიაშურებდაო, ამბობენ ყაბარდოელები. სერგოს მეგობრის ოჯახისაკენ იმიტომაც მიუწევდა გული, რომ იქ ბეთალის პატარა გოგონა — ლანა ეგულებოდა. სერგო გოგონას ხელში აიყვანდა, მოეფერებოდა, მერე ფერად-ფერადი კამფეტებით გაუვსებდა კალთას. სერგოსთვის ბავშვს „ტკბილი ძია“ შეურქმევია. 1935 წელს სერგო ორჯონიკიძეს სურათი გადაუღია ჯერ ბეთალთან, შემდეგ კი — ლანასთან. ამ სურათებს ბეთალ კალმიკოვის შთამომავალი სათუთად ინახავს.

17 თებერვალს ბოლშევიკების რაზმმა აულ დატიხს მიაღწია.

მოუსვენარი მდინარის — ფონტანკას პირას ტყეებით დაფარული მაღალი მთების სიღრმეში თითქოს ქვის ტომარაში ჩანთქმულა მამა-პაპური ციხე-კოშკებითა და ქვითკირის სახლებით დამშვენებული ეს აული. იგი ბევრი მამაცი რევოლუციონერის სამშობლოა. მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული ხიზირ ორცხანოვი და ზაურბეგ ისლამოვი. ეს უკანასკნელი ბევრჯერ გამოქცეულა ციხიდან. თავისი მშფოთვარე სიცოცხლის მანძილზე მეფის მრავალი ოფიცერი და გენერალი გაუგზავნია „იმქვეყნად“, გაბედულად თავდასხმია სამეფო ალალას, მდიდართა მამულებსა და სახელმწიფო ბანკებს.

დატიხში ბოლშევიკების რაზმი საგვარეულო ოჯახებში გაანაწილეს. კოკორხიევის, ორცხანოვის, არჩხიევის, მარხიევის, თუგანოვის, ბისეევის, ისლამოვის რევოლუციურმა ოჯახებმა სტუმართმოყვრულად გაუღეს კარი საპატიო სტუმრებს. სერგო ორჯონიკიძე ზაურბეგის ოჯახში მიიწვიეს. სულ მალე ზაურბეგის სახლი პარტიზანული მოძრაობის ცენტრად გადაიქცა. აქ თავს იყრიდნენ შორეული და ახლომახლო აულებიდან მოსული წითელი პარტიზანები და წითელგვარდიელთა რაზმების წარმომადგენლები. სერგო ორჯონიკიძე თერგის ოლქის სამხედრო კომისრებთან და პარტიზანული რაზმების მეთაურებთან ერთად აქ წყვეტდა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. აქვე ტარდებოდა ახალგაზრდა მებრძოლთა სამხედრო წვრთნა და საბრძოლო მზადება. სერგო ზაურბეგის ახლო მეგობარი, ანუ, როგორც ინგუშები იტყვიან, დოტა (კერძიმოკეთე) გახდა. შემდგომშიც, დატიხში რომ ჩავიდოდა, სერგო ზაურბეგის სახლის კარს დაუკითხავად შეაღებდა ხოლმე. ზაურბეგის ოჯახში დიდ სიხარულს იწვევდა სერგოს სტუმრობა. ზაურბეგის მეუღლე ბათიმათი სერგოს საყვარელ ეროვნულ კერძს ჟიჟიგ-გალნაშს მოამზადებდა და ხის ტაბაკით, ე. წ. „შუ“-თი მიართმევდა. ის შუ ამჟამად გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ზაურბეგის ვაჟებს, ჯაბრაილსა და იზრაილს პატარაობიდანვე ცხოვრების მძიმე პირობების შესაბამისად წვრთნიდნენ ოჯახში. შრომასა და ბრძოლას, ამტანობასა და გაჭირვების დაძლევას აჩვევდნენ, ჯირითს, ხმლისა და ხანჯლის მარჯვედ ქნევას ასწავლიდნენ, ჭიდაობაში, ქვის ტყორცნაში, ცურვასა და სირბილში ავარჯიშებდნენ, წინაპართა საგმირო საქმეებს მოუთხრობდნენ. მოკეთის პატივისცემასა და მტრის სიძულვილს უნერგავდნენ გულში, სულიერად ამაღლებდნენ.

ზაურბეგს იმედი ჰქონდა, რომ შვილები არ შეარცხვენდნენ და ჯერ კიდევ უწვერულო ბიჭები წითელ პარტიზანთა რიგებში ჩააყენა. ჯაბრაილმა და იზრაილმა მეზობელი ბიჭებიც აიყოლეს და აულში ნორჩ მებრძოლთა რაზმი შექმნეს. ეს ნორჩი მებრძოლები მწყემსები იყვნენ. ბავშვები საქონელს საძოვარზე გაუშვებდნენ, თვითონ კი ათასნაირ თამაშს იწყებდნენ. ვინ იფიქრებდა, რომ ისინი პარტიზანების საიმედო მეკავშირეები იყვნენ. ერთი წუთით არ ივიწყებდნენ სერგო ორჯონიკიძის დარიგებას, მტერზე ფხიზლად გეჭიროთ თვალი და, თუ რამე საეჭვო შენიშნოთ, უმალ შტაბში გვაცნობეთო. თორმეტი წლის იზრაილი ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, ოღონდ უფროსების დავალება შეესრულებინა. მან არ იცოდა, რა იყო შიში. ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეუქია იგი სერგოს. ერთ დღეს, გულადობისა და პარტიზანების დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის სერგომ იზრაილს პატარა, კოხტა თოფი — კარაბინა აჩუქა. იზრაილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ნაჩუქარ თოფს თვალისჩინივით უვლიდა და უფრთხილდებოდა. და როცა სერგოს უთხრეს, შენი პირადი მცველი და მეგზური იზრაილი იქნებაო, არ გაჰკვირვებია. პირიქით, ესიამოვნა და გაუხარდა. იმ დღიდან პატარა იზ-

რაილი სერგოს ერთგულ მცველად დაჰყვებოდა ინგუშეთში.

დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დატვირთული სერგო ორჯონიკიძე სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში. და მაინც, როგორც კი მცირედი შესვენების საშუალება მიეცემოდა, უმალ ბავშვებისაკენ გაეშურებოდა, მათთან გართობა უყვარდა, ჩაუჯდებოდა შუაში და დიდი გატაცებით უყვებოდა სამოქალაქო ომის გმირულ ამბებს.

სერგოს განსაკუთრებით უყვარდა ზაურბეგის გოგონა აბიდადი. „ჩემი აბიდადი, — იგონებს გოგონას დედა ბათიმათი, — ამხანაგ ორჯონიკიძეს საკუთარ მამაში არ არჩევდა. სერგო ბავშვს ხელს მოჰკიდებდა ხოლმე, მდინარის ნაპირისკენ გაასეირნებდა და დიდხანს არ ბრუნდებოდნენ შინ. თუ ჩვენ დღეს ცხოვრებითა და შვილების აღზრდით ბედნიერი ვართ, ამას ჩვენს საყვარელ სერგოს ვუმადლით; ჩვენ დიდად ვართ მისგან დავალებულნი".

— სერგო ხშირად საუბრობდა ჩვენთან, — გვიამბობს ზაურბეგის უფროსი ვაჟი ჯაბრაილი. — დიდი კომისარი შესანიშნავი მეხსიერების პატრონი იყო. ის პირველად 1919 წელს ვნახე, როცა ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი. მერე 11 წლის შემდეგ, 1930 წელს შევხვდი, მოსკოვში, როცა მამაჩემი უკვე ცოცხალი აღარ იყო. სერგომ მიცნო, გადამეხვია, გამომკითხა ოჯახის ამბავი, გაიხსენა აბიდადი. გამომშვიდობებისას კი მითხრა, — ზაურბეგი გარდაიცვალა, მაგრამ ვეცდები მე გაგიწიო მამობაო. ასე იცოდა სერგომ სიკეთის გადახდა.





1920 წლის გაზაფხულის დამდეგს მთელი ჩრდილო კავკასია გაწმენდილ იქნა თეთრგვარდიელებისაგან. 31 მარტს ორჯონიკიძისა და კიროვის მეთაურობით წითელი არმია ქალაქ ვლადიკავკავში შევიდა. დიდი სიხარული ეწვიათ კავკასიელ მთიელებს, ასრულდა სერგოს სიტყვები, დენიკინი განადგურებული იქნება და ჩვენს ქუჩებშიც მალე ვიხილავთ ზეიმსო.

სერგო ორჯონიკიძის მთავარი საზრუნავი ახლა მტრის მიერ დანგრეული აულებისა და ქალაქების აღდგენა, ომით გაწამებულ მთიელთა ყოფა-ცხოვრების კეთილმოწყობა გახლდათ. შიმშილობა იყო, არ ჰყოფნიდათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. სერგო ხშირად დადიოდა აულებში და თავისი თვალით ხედავდა მშიერ, ფეხშიშველა და ჩამოგლეჯილ ბავშვთა მდგომარეობას. სერგომ გადაწყვიტა ვ. ი. ლენინისათვის ეცნობებინა მთიელთა გაჭირვება და დახმარებაც ეთხოვა. 1920 წლის 6 აპრილს მან ბელადს მისწერა: „ჩვენ მოვიარეთ კაზაკების მიერ დანგრეული დიდი აულები სურხოხი და ეკაჟევო. სრულიად აუცილებელია გაეწიოთ მათ დახმარება როგორც ფინანსურად, ისე სამშენებლო მასალით. ჩემს განკარგულებაში გამოგზავნილი 2 მილიონი არშინი მანუფაქტურა განზრახული მაქვს გავანაწილო მთიელ ბავშვებს შორის, რომლებიც მთლად დაკონკილები დადიან".

ასეთ მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა სერგო ორჯონიკიძე მთიელ ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მათი ბედნიერი მომავლისათვის. ამიტომაც მადლიერი შთამომავლობა გულში ინახავს სერგოს სახელს და თაობიდან თაობას გადასცემს მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას.

**სპარტაკ რეხვიაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მხატვარი გ. ფოცხიშვილი.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 2

# წინდაუხედაობის შედეგი

ჩვენი კლასი საბჭოთა მეურნეობას სიმინდის ტეხაში ეხმარებოდა. ყველანი დიდი მონდომებით ვმუშაობდით. შუადღემდე უკვე შევასრულეთ ნაკისრი ვალდებულება. შესვენებისას, უსაქმოდ ჯდომა რომ მოგვწყინდა, მასწავლებლის დაუკითხავად გადავწყვიტეთ გაგვესეირნა. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, მოულოდნელად სამგორის ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. გავოცდით. ერთმა საათს დახედა და წამოიძახა: აუჰ, რა დიდი დრო გასულა ამ ჩვენს ხეტიალშიო. შევწუხდით — ვინ იცის, როგორ დაგვეძებდა ჩვენი კლასის დამრიგებელი, თანაც ამასობაში კიდევ რამდენი საქმის გაკეთებას მოვასწრებდით.

სწრაფად გამოვბრუნდით. დავინახეთ, რომ მასწავლებელი ჩვენს სამ ამხანაგთან ერთად გამალებით მუშაობდა. თავჩაღუნულნი წინ დავუდექით. მან ესღა გვითხრა, ამას არ მოველოდი თქვენგან, განაგრძეთ მუშაობაო. ჩვენც მყისვე გამოვიღეთ ხელი, მაგრამ გული ყველას რაღაცნაირად დამძიმებული გვქონდა, რომ ჩვენი წინდაუხედაობით საყვარელ დამრიგებელს ვაწყენინეთ.

თამილა ჯაჭვაძე,

გარდაბნის რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

# მე მკურნალი ვარ

დიახ, მე მკურნალი ვარ! ვიცი, გაგეღიმებათ: აფერუმ შენს ქალობას, ჯერ კიდევ მოსწავლე და უკვე მკურნალი ხარო?! დამიჯერეთ, მართალს ვამბობ. ოღონდ ჩემი პაციენტები ადამიანები კი არა, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის წიგნები არიან, — შელახულნი, ყდაშემოცვეთილნი, დალაქავებულნი... მესმის მათი კვნესა-მუდარა. მეც, რაც შემიძლია, ვშველი — ლაქებს ვაშორებ, „ჭრილობებზე" სალბუნად წებოიან ქაღალდის ნაჭრებს ვადებ, ერთი სიტყვით, სიცოცხლეს ვუხანგრძლივებ. და როცა უკვე განკურნებულებს ვინმე მკითხველის ხელში დავინახავ, უსაზღვროდ მიხარია.

მაია ქუფრაშვილი,

ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

# ოქროს რთველში

ჩვენს სოფელში როგორც კი „ოქროს რთველი" დაიწყო, მოსწავლეებმა გადავწყვიტეთ ამ სახალხო საქმეში საკუთარი წვლილიც შეგვეტანა — 20 ტონა ციტრუსი მოგვეკრიფა. სიტყვა საქმედ ვაქციეთ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დარეჯან ფარცხვანიამ, მანანა ძაძამიამ, დარეჯან ქირიამ, აზა და ცისანა კვინჩიებმა, კობა და ფრიდონ კუკავებმა და სხვებმა, რომლებიც დღეში 200-250 კილოგრამ ციტრუსს კრეფდნენ. ბეჯითი შრომით უფროსების მადლობა დავიმსახურეთ.

ელისო კაკულია,

ხობის რაიონის ხამისქურის საშუალო სკოლის მოსწავლე.

# თუ მოვინდომებთ...

მე-8 რაზმის წევრებს, მეხუთეკლასელ პიონერებს კობა მამისთვალოვსა და გოჩა მარგიანს წესრიგის სისტემატური დარღვევისათვის რაზმის, რაზმეულის აქტივისა და მასწავლებლების წინაშე ამას წინათ ყელსახვევები მოვხსენით. ყელსახვევის მოხსნა ხომ პიონერისათვის უმკაცრესი სასჯელია. დასჯილებს ორი კვირის ვადა მივეცით გამოსწორებისათვის. ამ ხნის განმავლობაში მათ ყოველდღე ვადევნებდით თვალყურს, ვეკითხებოდით მასწავლებლებს, როგორ სწავლობდნენ და იქცეოდნენ ეს ყმაწვილები. ორი კვირის თავზე კვლავ შევიკრიბეთ მე-8 რაზმი და რაზმეულის აქტივი, დავისწარით მასწავლებლებიც. გამოირკვა, რომ კობაცა და გოჩაც საგრძნობლად გამოსწორებულიყვნენ — სწავლასაც უმატეს და წესიერადაც იქცეოდნენ. ამან ყველა გაგვახარა. აი რა ნაყოფი გამოიღო რაზმეულის ერთობლივმა მეცადინეობამ.

ნანა მუკბანიანი,

თბილისის 153-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# შემოდგომა და ღამე

წვიმის გამჭვირვალე ცრემლით ტირის შემოდგომის დღე. ქვითინებს ჭადარი... ფოთლებს ლაპალუპით ჩამოსდით წვეთები და მარგალიტებად ეცემიან მიწას. ნაღვლიანად აფახულებს თვალებს ხის ტოტზე შემოსკუპული ბეღურა. რძისფერ ნისლში გახვეულა მთელი სოფელი.

თავისებურად ლამაზია შემოდგომის დღე. საოცრად წარმტაცია ღამე შემოდგომისა. ციცინათელებივით ციმციმებენ ცაზე მიმობნეული ვარსკვლავები, მათ შორის ვერცხლის მშვილდივით მოჩანს ნამგალა მთვარე.

საწოლში წამომჯდარი, სარკმლიდან დიდხანს, დიდხანს შევხარი ვარსკვლავებსა და მთვარეს. შემდეგ ნელ-ნელა ძილი მეპარება, თვალებს ვხუჭავ და მოციალე წერტილების უსასრულობაში ვიძირები.

მარინე კოჟმანაშვილი,
თელავის რაიონის კისისხევის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



თოჯინების თეატრში. ლია ღლონტი. 7 წლის.

**ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები**

ნიღბები. პაატა წიკლაური. 8 წლის.





იური
სოტნიკი

# როგორ ვიყავი დამოუკიდებელი

მხატვარი
რ. ცუცქირიძე.

მოთხრობა

ის დღე, როცა პირველად ვიგრძენი თავი დამოუკიდებელ ადამიანად, მთელი სიცოცხლე დამახსომდა, ახლაც კი შიშის კანკალით ვიგონებ მას.

წინა საღამოს დედაჩემი და მამაჩემი ჩვენი ახალი, დიდი სახლის წინ მერხზე ჩამომსხდარიყვნენ და კამათობდნენ.

— ბიჭი მეთერთმეტე წელშია! — ამბობდა გაბრაზებული მამა. — ნუთუ ერთი დღე არ შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროს! როდემდის უნდა სდიო კუდში?

— შენ რაც გინდა, ისა თქვი, მიხეილ, და მე კი ერთი ვიცი, — თავისას არ იშლიდა დედა, — თუ ლიოშკას აქ დავტოვებთ, მთელი მოგზაურობა ჩამშხამდება. ჯერ მეზობლებსაც კი არ ვიცნობთ კარგად, რომ ბავშვს მიგვიხედონ. გამაწამებს ამაზე ფიქრი.

წყდებოდა მთელი ჩემი ხვალინდელი დღის ბედი! მამაჩემის თანამშრომელმა და მეგობარმა, პოლკოვნიკმა ხარიტონოვმა, დედა და მამა აგარაკზე მიიპატიჟა, მაგრამ ჩემი იქ წაყვანა არ შეიძლებოდა, რადგან ხარიტონოვს პატარა ბიჭი წითელათი ჰყავდა ავად. დედას მარტო ჯერ არ დავეტოვებინე ამდენი ხნით: სულ ეჩვენებოდა, რომ ისევ პატარა ბავშვი ვიყავი.

ამ სახლში ერთი კვირის გადმოსულები გახლდით და ჯერ არც ერთ მეზობელს არ ვიცნობდით, ამიტომ დედას უნდოდა კვირადღეს თავის მეგობარ ქალთან დავეტოვებინე, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა. მამა ამაზე არ ეთანხმებოდა, ამბობდა, მეგობრის შეწუხება უხერხულია და დროა დამოუკიდებლობას შეეჩვიოსო.

მე ვიდექი ჩემი მშობლების წინ და სულგანაბული ვისმენდი მათ დავას, ისე ვღელავდი, კინაღამ თითები დავიმტვრიე ზურგს უკან. დიდი ხანია ოცნებად მქონდა გადაქცეული ერთი დღე მაინც მეცხოვრა უფროსების მეთვალყურეობის გარეშე. ახლა კი, როცა ახალ სახლში გადავედით, გამიორკეცდა ეს სურვილი. ამის მიზეზი იყო გ[illegible] [illegible]ტუხა მწვანეთვალება გოგო, [illegible] ბიჭებში ცნობილი, [illegible] ყველაფრის მოთავე და წამომწყები. ეს გალია მე ძალიან მომწონდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მეტად ქედმაღლურად მიცქეროდა, „დედას ბიჭად“ მთვლიდა. მე ვფიქრობდი, რომ დამოუკიდებლად გატარებული დღე ძალიან ამამაღლებდა მის თვალში.

სამწუხაროდ, ამდროს გალია აქვე, ეზოში იყო. ასკინკილა ხტუნვით კენჭს აგორავებდა და დედაჩემის და მამაჩემის მთელ, ჩემთვის დამამცირებელ, საუბარს ისმენდა. დროდადრო ვითომ სხვათა შორის ჩაურთავდა კიდეც:

— უჰ! მე ექვსი წლიდან ვრჩები მარტო და არაფერიც არ მომსვლია! — ანდა, — უჰ, რამდენჯერ გამიკეთებია ჩემთვის სადილი, გაცხელება ხომ რაღა სათქმელია.

მე ალმაცერად გავცქეროდი გალიას და ხმადაბლა, მაგრამ მთელი სულითა და გულით ვირწმუნებოდი:

— დედა! კარგი, რა, დედა! აბა, რა უნდა დამემართოს? აი, შენ მხოლოდ მომისმინე, როგორ ვიცხოვრებ: თქვენ გაემგზავრებით, მე კი წავალ და ცოტას გავისეირნებ.

— კარებს გამოიჯახუნებ და გასაღებს შიგ ჩატოვებ...

— სულაც არა! გასაღებს წინა საღამოსვე ჩავიდებ ჯიბეში... ესე იგი, წავალ და გავისეირნებ...

— შენ საშინაო დავალება უნდა შეგესრულებინა, კი არ უნდა გესეირნა. მალე პირველი სექტემბერია და ჯერ ნახევარი მაგალითებიც არ ამოგიხსნია.

— ჰო, დედა, ჰო! კეთილი, არ გავისეირნებ. მაშ ასე, თქვენ წახვალთ, მე კი ვჯდები და ვიყვან მაგალითებს, მერე მომშივდება — ვრთავ გაზს.

— ახლა კიდევ გაზით დააშავებ რაღაცას, — წაიბუტბუტა დედამ.

— უჰ! მე რამდენი ხანია გაზს...— წამოიწყო გალიამ, მაგრამ სწორედ იმ წუთს მოირბინა ანტოშკა დუდკინმა, ხელში ქაღალდის დიდი ფურცელი ეჭირა.

— მზად არის! სად დავკიდო? — უთხრა მან გალიას და სადარბაზოს კარზე ორთავემ ერთად მიამაგრა მელნით დაწერილი აფიშა; აფიშა იუწყებოდა, რომ ხვალ, საღამოს 5 საათზე, კლუბში შედგება პიონერთა დრამატული წრის საღამო. წარმოდგენილი იქნება ზღაპარი „სულელი ივანუშკა“.

ბოლოს მე და მამამ, როგორც იქნა, დავიყოლიეთ დედა. გადაწყდა, რომ მშობლები ექვსსათიანი მატარებლით წავლენ, მე კი ჩვეულებრივ რვაზე ავდგები, თვითონ დავალაგებ სახლს, თვითონ ავიდუღებ ჩაის, ვაჭმევ და გავასეირნებ პატარა ძაღლს შუმკას, თვითონ (ესე იგი დაუმალებლად) გამოვიყვან ათ მაგალითს და თვითონ გავიცხელებ სადილს. მე მეშვიდე ცაზე ვიყავი. ყველაფერი ეს ჩემთვის ისეთი ახალი, ისეთი გასახარებელი იყო, როგორც სხვა რომელიმე ბიჭისათვის, ვთქვათ, უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრება.

დედა მთელ საღამოს მარიგებდა. ღამე დიდხანს ვერ დავიძინე, ხოლო როცა გავიღვიძე მზიანი დილით, სახლში არაჩვეულებრივი სიჩუმე იდგა. მხოლოდ შუმკა იქექავდა ყურს და ამის გამო ოდნავ აკაკუნებდა თათით იატაკზე.

მე მარტო ვიყავი! მე ვიყავი ბინის სრული ბატონ-პატრონი. მე შემეძლო, როგორც მომესურვებოდა, ისე მოვქცეულიყავი.

საწოლიდან წამოვხტი და ტრუსისამარა, ამაყად დოინჯშემოყრილი, რომელიღაც საზეიმო მარშის სტვენით გავემართე ჩემი სამფლობელოს დასათვალიერებლად.

აქვე დავისახე მოქმედების მთელი პროგრამა. ბინის დალაგების დროს განა მხოლოდ დავგვი პარკეტის იატაკს, არამედ სანთლითაც ხელახლა გავაპრიალებ: გავწმენდ და კარადაში შევკიდებ მამის ძველ მუნდირსაც, სკამის ზურგზე რომ დაუტოვებია. მაგალითებს იმ ათის მაგივრად, მე და დედამ რომ მოვილაპარაკეთ, გამოვიყვან ერთბაშად ოცს. საღამოს, თუ მამასა და დედას შევაგვიანდებათ, ვახშამს გავუცხელებ, ძველ საბანში შევახვევ, როგორც ხანდახნ დედა აკეთებს ხოლმე, და თვითონ დავწვები დასაძინებლად, მაგიდაზე კი ბარათს დავტოვებ: „კატლეტი და კარტოფილი ცხელია, სამზარეულოში სკამზე დევს". ერთი სიტყვით, დედაჩემი მიხვდება, რა უგუნურება იყო, როცა ჩემი მარტო დატოვებისა ეშინოდა.

სწრაფად ჩავიცვი, ხელ-პირი დავიბანე და ის იყო შუმკას გარეთ გაყვანას ვაპირებდი, რომელიც უკვე კარებთან იდგა და წკმუტუნებდა, რომ ერთბაშად ასეთი აზრი მომივიდა: რა მოხდება, რომ ბარემ მაღაზიაში წავიდე და საუზმისათვის რამე ვიყიდო. სად ის, როცა მაღაზიაში დედა გაგგზავნის და სად კიდევ ის, როცა შენ თვითონ მოგესურვება რაიმე, წახვალ და იყიდი. ასეთი სიამოვნებისათვის სულაც არ არის დასანანი, რომ აკვარიუმის საყიდლად შეგროვილი თხუთმეტი მანეთიდან კაცმა სამი მანეთი დახარჯოს.

ჩაისათვის პური, კარაქი და ძეხვი უკვე მქონდა. ცოტა დავფიქრდი და გადავწყვიტე, რომ ყველი მინდოდა.

ერთი წუთის მერე შუმკას საბელით დავატარებდი ეზოში ნელ-ნელა, სერიოზულად, თან პირველი სართულის ფანჯრებს ვათვალიერებდი, სადაც გალია ცხოვრობდა. უცებ სწორედ მისი ფანჯრიდან გამოვარდა და ჩემს ფეხებთან ზღართანი მოადინა მკვდარმა ყვავმა. შუმკამ მოულოდნელობისაგან დაიწკმუტუნა.

— აბა, ჩემმა თვალებმა აქ აღარ დაგინახოთ! — მოისმა ფანჯრიდან ქალის გაბრაზებული ხმა. — არ მოათრიეს ყოველგვარი უბედურება! რეპეტიციის ჩატარება მომინდომეს! რეპეტიციისათვის კლუბი არსებობს, იქ, თუ გინდათ, თავდაყირა იარეთ, ხალხს კი მოსვენების საშუალება მიეცით. აბა! რამდენჯერ უნდა გითხრათ! მოუსვით აქედან!

ამის შემდეგ სადარბაზოდან გამოხტა და ხელი სტაცა ყვავს სახედაჭორფლილმა, ძალიან ქერა ბიჭმა, რომელსაც მხრებზე მანტიასავით წამოესხა საწოლის ლურჯი გადასაფარებელი, ჩაის შესახვევი ვერცხლის ქაღალდისაგან გაკეთებული რაღაც ნაყშებით, თავზე კი ირიბად ედგა ასეთივე ქაღალდით მორთულ-მოკაზმული გვირგვინი.

ამ ბიჭს ხტუნვა-ხტუნვით მოჰყვა გულში ყვავილების თაიგულჩახუტებული ისეთივე ძალიან ქერა გოგონა, გოგონას — ჩვეულებრივად ჩაცმული ანტოშკა დუდკინი, ანტოშკას მერე კი სირბილით გამოვარდა გალია. მე მას შევხედე და ადგილზე მივეყინე. გალია მომწონდა ყველაზე უფრო ჩვეულებრივ, ყოველდღიურ კაბაშიც, მომწონდა მაშინაც კი, როცა ის დედამისის ძველი, მუხლებამდე ქაკეტით და ჩხირივით ფეხებზე წამოცმული დახეული თექის ჩექმებით გამოდიოდა ეზოში. ახლა კი... ახლა ის წარმომიდგა ზღაპრული მეფის ასულის ტანსაცმლით. მას ეცვა ცისფრად, ვარდისფრად და ყვითლად შეღებილი ტოლბანდის კაბა; ყელზე ნაძვისხის ნაირფერი შუშის მძივების ყელსაბამი უბრწყინავდა: ამ მძივების ორი დიდი ბურთი ყურებზე ჰქონდა ჩამოკონწიალებული. შუბლზე, მუქი ფერის თმაში ნაძვისხის მოსართავი ხაოიანი ვარსკვლავი უციმციმებდა. ხოლო [illegible] ასეთივე, ოღონდ ცოტა პატარა [illegible]ვლავი ქუსლმოქცეულ ჩუსტებს უმშვენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სილამაზე[illegible] მოვწყვიტე და თითიც კი ვიტაკე პირში აღტაცებულმა. გვერდით რომ ჩამირბინა, გალიამ ოდნავ დამიქნია თავი, მაგრამ უცებ შედგა, უკან მოიხედა და მკითხა:

— როგორ არის საქმე? წავიდნენ თქვენები?

მე სასწრაფოდ გამოვიღე თითი პირიდან და რაც შეიძლება უზრუნველად ვუპასუხე:

— რა თქმა უნდა, წავიდნენ.

— და შენ მარტო დაგტოვეს?

— რა თქმა უნდა, მარტო. მეკითხება, რაღა!.. არ იცი, მაღაზია ღიაა თუ არა, ყველი მინდა ვიყიდო საუზმისათვის.

— ღიაა, — მითხრა გალიამ და თან რაღაცაზე ჩაფიქრდა. — შენ იქიდან შინ მოხვალ?

— მაშ, აი მარტო ყველს ვიყიდი. რატომღაც მომინდა და გადავწყვიტე ვიყიდო.

— ეი! მოდით აქ! — გასძახა გალიამ თავის მეგობრებს და, როცა ისინი მოვიდნენ, მე მომიბრუნდა: — შენ ლიომა გქვია, ხომ? ლიომა, შეიძლება, შენთან მოვიდეთ? თორემ რეპეტიცია გვინდა ჩავატაროთ და ყველამ გამოგვრეკა, კლუბი კი დაკეტილია... შენ ხომ მარტო ხარ, კარგი?

— მობრძანდით, რასაკვირველია! — გამეხარდა მე. — აი სახლს დავალაგებ, მაგალითებს ამოვხსნი და მობრძანდით.

გალიას სახე დაუნაღვლიანდა:

— ე-ე-! მაგალითები! შენ რა, დილიდანვე გამეცადინებენ? მე, მაგალითად, ვერავინ დამაძალებს. როცა მომინდება, მაშინ ვიმეცადინებ.

— მე ვილა მაძალებს? არვინაც არ მაძალებს, თვითონ მინდოდა, — ავწრიალდი უცებ, — დიდი სიამოვნებით! გნებავთ, ახლავე წამოდით. შემიძლია სახლიც არ დავალაგო... როცა მომინდება, მაშინ დავალაგებ. მობრძანდით! შუმკა, შინისაკენ!

ფართო, მტკიცე ნაბიჯებით გავუძეხი წინ მსახიობებს ჩემი სადარბაზოსაკენ, იმათთან ერთად მეორე სართულზე ავედი, კარის გასაღები გადავატრიალე და ფართოდ გამოვაღე.

— მობრძანდით! რომელ ოთახში გნებავთ? ამაში თუ იმაში? რომელ-

შიც გნებავთ, იმაში გაიმეორეთ. თქვენი ნებაა!

მსახიობებმა დიდ ოთახში გაიარეს — ეს ოთახი სასადილოც იყო და ამავე დროს ჩემი საწოლიც. მე ტყავიდან ვძვრებოდი, რომ მეჩვენებინა, როგორი დამოუკიდებელი ადამიანი და სტუმართმოყვარე მასპინძელი ვიყავი.

— გალია, შენ ნუ გრცხვენია, მითხარი, თუ რამე გინდა. მაგიდა გიშლის? შეგვიძლია გავწიოთ, სულ ადვილად. შუმკა, ადგილზე! ფეხებში ნუ ედები ხალხს! როგორც საჭიროა, ისე მოვიქცევით, როგორც მოგვესურვება, ისე მოვაწყობთ, არა, გალია?

„მეფის ასული" კედელთან მდგარ სარკეში ათვალიერებდა თავის თავს.

— პომადა გაქვს? — მკითხა მან.

— პომადა? უჰ! — წამოვიძახე სულ მთლად გალიასნაირად. — მე პუდრიც შემიძლია მოგცე, წარბების სალებავიც და ოდეკალონიც კი...

მეორე ოთახში გავედი და იქიდან „თეთრი იასამნის" დიდი კოლოფი გამოვიტანე, თან წამოვიღე წამწამების სალებავის ყუთი და ყველაფერი გალიას მივეცი.

— აი, ინებე! ამოარჩიე, რაც გინდა, ნუ გერიდება!

გალიამ უხვად მიიფრქვია პუდრი შუბლზე და ცხვირზე, გაიწითლა ტუჩები და ლოყები. იგივე გააკეთა ლიზამ, გოგონამ, რომელიც ხნიერ დედოფალს თამაშობდა. ამის გარდა, მას ბლომად დააყარეს პუდრი ისედაც თეთრ თმაზე, რომ სულ ჭაღარა გამოჩენილიყო.

— ანტოშკა! — უთხრა გალიამ. — მოდი, ახლა შენც გაიკეთე გრიმი. იცი, როგორ აკეთებენ მსახიობები, რომ ლამაზები იყვნენ? ცხვირზე თეთრ ხაზს ივლებენ, წარბებს ქვეშ კი ვარდისფერს. ტუჩებსაც ვარდისფრად ილებავენ.

მაგრამ დუდკინმა გულხელი დაიკრიფა, თავი ჩაქინდრა და მოღუშულმა დაიწყო ოთახში ხეტიალი:

— წადი ერთი, შენი „გრიმებიანად!" მე თხა არ მაძლევს მოსვენებას, შენ კი „გრიმებს" დარდობ.

— რომელი თხა? — ვიკითხე მე.

ამიხსნეს, რომ დუდკინი სულელი ივანუშკას როლს თამაშობდა, და მეფის ასულს თხაზე შემომჯდარი უნდა ხლებოდა, ხელში კი მკვდარი ყვავი სჭეროდა. ხოლო აი, ფირფიცრისაგან ნაჩქარევად გამოხერხილი თხით ანტოშკა ძალიან უკმაყოფილო იყო.

— მკვდარი ყვავიც ნამდვილი ვიშოვეთ, თხა კი სიცილად არ ეყოფა კაცს, ისეთია. ოთხი ფეხი უნდა ჰქონოდა, ზედ დაჯდომა უნდა შეძლებოდა და თოკგამობმული უნდა შემოგვეყვანეთ სცენაზე. ფირფიცარზე კი, განა დაჯდები! უნდა ათრიო ლაჯებს შუა და თვითონ საკუთარი ფეხით იარო. ხალხი მხოლოდ სიცილს დაგაყრის.

„მეფემ" უგუნებოდ დაუქნია თავი.

— ჰო, მე ეგ ვუთხარი ნატალია პეტროვნას, სხვა თხა გვჭირდება-მეთქი, ის კი თავისას არ იშლის: ჩვენ ზღაპარსა ვდგამთ, ზღაპარში კი ფირფიცარიც გამოდგებაო.

მსახიობები ჩაფიქრდნენ. მეც ჩუმად ვიყავი და გალიას თვალს არ ვაშორებდი. ძალიან მაინტერესებდა გამეგო, რას ფიქრობდა ჩემზე, დარწმუნდა თუ არა, რომ მე მისი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი პიროვნება ვარ. მაგრამ გალია მე არ მიყურებდა. თითქოს ჯიბრზე თვალი შეაჩერა საწოლთან მდგარ პაპე-მაშეს დიდ ცხენზე, რომლითაც მე ხშირად ვმოგზაურობდი ბინაში, დავდევდი შუმკას და თუნუქის რევოლვერიდან ვესროდი.

— ეს შენი ცხენია? — მკითხა მან.

მე ძალიან მიყვარდა ჩემი წაბლა, ცოცხალ არსებასავით ვექცეოდი მას, მაგრამ ახლა გადავუდექი:

— არა, ჩემი არ არის... უფრო სწორად, ჩემია, მაგრამ დიდი ხანია მაგითი აღარ ვთამაშობ. ის დგას ტყუილად. პატარა ხომ აღარა ვარ?

„მეფის ასული" ცხვირს იჩიჩქნიდა და ჩაფიქრებული უყურებდა ცხენს.

— ანტონ! აი, ამ ცხენიდან რომ თხა გაგვეკეთებინა... თვალებიც კი აქვს. ლიომა, გვათხოვე ეს ცხენი, ჰა?

— რა თქმა უნდა, გათხოვებ! დიდი სიამოვნებით, სულაც არ მენანება! მე მაგით სულ აღარ ვთამაშობ... ტყუილად დგას, მე კი სულ აღარ ვთამაშობ.

დუდკინი ჩაცუცქდა და ყურადღებით შეათვალიერა ცხენი.

— ცხადია, ფირფიცრისას ჯობია, — თქვა მან, — მაგრამ კუდი სად გინდა წაიღო? ამისთანა კუდიანი თხები სად გინახავს?

და მე ამდროს საბოლოოდ გავწირე ჩემი ძველი მეგობარი.

— კუდი... კუდი შეიძლება მოვაჭრათ! — წამოვაყრანტალე ქღრიალა ხმით და აქეთ-იქით ყურება დავიწყე, რათა დამენახა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მან.

— მოგხვდება დედაშენისაგან, — მითხრა ლიზამ.

— რა? მომ[illegible] მაკლია!.. „მოგხვდება!" ეს ჩემი ცხენია, რაც მომესურვება იმას ვუზამ, ახლავე მოვჭრით და მორჩა! სულ უბრალოდ! — მე ისევ გავიქეცი მეორე ოთახში, იქიდან დავბრუნდი მაკრატლით ხელში და ცხენის წინ ჩავცუცქდი. წუთიც და ფუმფულა ხრალის კუდი იატაკზე ეგდო, მე კი წამოვდექი, ზურგი სულ ოფლში მქონდა გაღვრილი. — მორჩა და გათავდა! აი ინებეთ! არაფერი ისეთი ამაში არ არის... სრულიად უბრალოა ყველაფერი...

ცხენისაგან თხის გაკეთება მეტად რთული და ძნელი სამუშაო აღმოჩნდა. მოსაძებნი გამიხდა, სად ჰქონდა შენახული მამაჩემს მშრალი სადურგლო წებოს ფილები, მერე დანაყვა დამჭირდა, რომ უფრო ადვილად დამბალიყო. მერე მოვხარშეთ პატარა ქვაბში (შესაფერისი ქილა შინ არ აღმოჩნდა).

მერე რქების კეთებას შევუდექით. ჯერ გალიამ ქაღალდისაგან ვიწრო პარკები დაახვია, და ჩვენ ისინი ცხენს თავზე მივაწებეთ, მაგრამ ანტოშკამ თქვა, თხებს ასეთი სწორი რქები არ აქვთო. მაშინ დავიწყეთ რქების გაკეთება მუყაოსაგან და უამრავი სამაგიდო სათამაშოს კოლოფი მივჭერ-მოვჭერით, ვიდრე დუდკინს რქების ფორმა მოეწონებოდა.

წვერისთვის მოჭრილი კუდის ნაწილი გამოვიყენეთ, მაგრამ ამაზეც ბევრი ვიწვალეთ, რადგან ხელები წებოიანი გვქონდა და ხრალი თითებზე უფრო ადვილად გვეკრობოდა, ვიდრე ცხენს ნიღირზე.

როცა, ბოლოს, წვერი მზად იყო, დუდკინმა განაცხადა, რომ ცხენი უნდა შეიღებოს ღია ყავისფრის მაგივრად რომელიმე სხვა ფრად, თუნდაც თეთრადო. კბილის პასტა ცოტა იყო და ლიზამ ფქვილით შეღებვა შემოგვთავაზა. მე ფქვილი გამოვიტანე, ის ტაშტში გავხსენით, რაღაც ბლინების ცომის მსგავსი სითხე მოვამზადეთ.

რაც უფრო მეტს ვმუშაობდით, უფრო მეტად მეთანაღრებოდა გული, როცა წებოთი და ცომით მოსვრილ, ხრალის ნაგლეჯებმიწებებულ პარკეტიან იატაკს დავცქეროდი. ამის გარდა, შუმკა ჩვენს გარშემო ტრიალებდა და მალე ისე ამოითხუპნა, რომ ცხენზე უკეთ არც ის გამოიყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა. ბოლოს, როცა დაღვრილი წების გუბეში ჩაჯდა, ავდექი და კისერზე წავარტყი. ის გამებუტა, მერე ოთახში გავიდა და დედის საწოლზე დაწვა.

საათმა ორი დარეკა. „დედოფალი" აწრიალდა.

— გრიშკა, წამო, სადილობის დროა. ანტონ, ჩქარა, მორჩი. ხუთ საათზე სპექტაკლია და ჩვენ რეპეტიცია არც კი ჩაგვიტარებია მაგ შენი თხის გულისთვის.

ახლაღა გამახსენდა, რომ გუშინ საღამოს შემდეგ არაფერი მეჭამა. მუცელი მიბუყბუყებდა, თავში რაღაც ხმაურობდა.

დუდკინმა ცომიანი ტაშტით მარცხენა ხელში და ძველი საპარსი ფუნჯით მარჯვენაში ცხენს კიდევ ერთხელ გადაუსვა საღებავი, ერთიორი ნაბიჯით უკან დაიხია, თავი გვერდზე გადახარა. მერე ფუნჯი ტაშტში ჩააგდო, ტაშტი მაგიდაზე დადგა და ამოიოხრა:

— სულ ტყუილად გავაფუჭეთ ცხენი.

გალიამ მხრები აიჩეჩა:

— უჰ! ეს ვინა ყოფილა!.. არაფერი არ მოგწონს! ფირფიცრისა არ მოგწონს, ეს არ მოგწონს...

— შენი ჭკუით, კარგია, ხომ? — დაიყვირა დუდკინმა. — ერთი შეხედე: ზურგში ჭიანჭველები არ გირბენენ? გატყავებულ ეშმაკს არა ჰგავს? შენ კი მომდგარხარ და, კარგიაო.

მე ვერც წარმომედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო გატყავებული ეშმაკი, მაგრამ ის არსება, რომელიც ჩვენ გამოგვივიდა, მართლაც რაღაც საშინელება იყო.

ჯერ კიდევ სველი ცომი რაღაცნაირად ბზინავდა, მუყაოს ცალი რქა მოტყდა და გვერდზე ჩამოეკიდა, წებოში ამოსვრილი კუდი რაღაც ყინულის ლოლუას დაემსგავსა, წითური წვერი კი, პირიქით, ძალიან ფუმფულა იყო და ყოველი მხრით გაბურძგნული.

ეტყობოდა, გალიამაც უხერხულად იგრძნო თავი, რადგან ანტონს აღარ ედავებოდა. ცოტა ხნით ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— გალია! — მოისმა უცებ ფანჯრის იქით რამდენიმე ხმა ერთად, — ეი, გალია! დუდკინ!

— აქა ვართ! — გამოეხმაურა გალია და ფანჯარასთან მიირბინა.

— „აქ! აქ!“ ორი საათია გეძებთ. წახვედით, დაიკარგეთ და არც არაფერი დაიბარეთ. გინდათ ჩაიშალოს წარმოდგენა?

— ამოდით, ჩვენ აქ რეპეტიციას ვატარებთ. ოცდამეორეში — გალია ფანჯარას მოშორდა. — ლიოშა, წადი, გაუღე, ეგენიც მსახიობები არიან. ანტოშკა, ჩვენ თხა სენია ტარაკანოვს ვაჩვენოთ. ის წრის მამასახლისია და, როგორც სურს, ისე გადაწყვიტოს.

შემოსასვლელი კარი გავაღე და ბინაში კიდევ ერთი ექვსი ბავშვი შემოვარდა. მათ შორის გამოირჩეოდა ძალიან თვითდაჯერებული სიფათის მქონე მხარბეჭგადგმული ბიჭი.

— სენია, შეხედე! — მიმართა მას გალიამ. — აი, ფირფიცრის მაგივრად როგორი თხა გავაკეთეთ, დუდკინს კი ესეც არ მოსწონს.

ბიჭმა ვიწრო, წვრილი თვალებით შეხედა ჩვენს საფრთხობელას.

— ხალტურაა! — წაიბუტბუტა მან და დაუმატა: — მე თქვენ უკეთეს თხას გიშოვით, ცოცხალს, ნამდვილს.

— ვაჰ! ნამდვილს! — გაიხარეს მსახიობებმა. — გიყვარდეს, კარგი იქნებოდა ნამდვილი, მაგრამ სად იშოვი?

— ბიძაჩემს ჰყავს თხა. ფარდულშია ჩაკეტილი, ოღონდ ცოტა რქენიაა ის ოხერი.

— რქენა არაფერია, — თქვა დუდკინმა, — საქმე ის არის, ბიძაშენმა დაგვრთოს ნება გამოვიყვანოთ.

— ჩვენ იმას სულაც არ დავეკითხებით. ჩუმად გამოვიყვანთ. სპექტაკლის შემდეგ კი დავუბრუნებთ.

— არ გაგიჯავრდებიან?

— მერე რამდენიც უნდა გამიჯავრდნენ. სამაგიეროდ, კარგი დადგმა გამოვა. ოღონდ თხა ახლავე უნდა წამოვიყვანოთ, თორემ სამ საათზე ბიძა დაბრუნდება და აღარაფერი გამოგვივა. აი, საქმე ის არის, სპექტაკლამდე სად დავმალოთ?

ყველა გაჩუმდა და ამ საკითხზე დაიწყო ფიქრი.

— რომელიმე კუთხეში მივაბათ, მორჩა და გათავდა.

— ეგრე შეიძლება მოიპარონ.

— რიგრიგობით ვუდარაჯოთ.

სენიამ თავი გაიქნია.

— არა, ასე, სულ ერთია, არ ივარგებს. როგორც კი ნახავს ძია, რომ თხა ადგილზე არ არის, ყველა ეზოში და კუთხეებში დაუწყებს ძებნას. აი, იურკასთან შეიძლებოდა დამალვა. იურკა, დედაშენი და მამაშენი ხომ კვირაობით მუშაობენ, ბინაც განცალკევებულია. შენთან ძია ვერ იპოვის, ის საერთოდ არ დაიწყებს ბინებში ძებნას.

ბიჭმა, რომელსაც იურა ერქვა, თვალები გადმოუკარკლა სენიას.

— შენ რა, შეიშალე? იცი, მაგისთვის რას მიზამენ!

იურას ყოველი მხრიდან შემოესივნენ:

— ამხანაგებს არ გინდა დაეხმარო, ხომ?

— აი, სენიამ იცის, რომ ბიძისგან ნამდვილად მოხვდება, მაგრამ საერთო საქმისათვის არ ეშინია.

— მლანძღეთ, რამდენიც გინდათ, — უპასუხა იურამ. — მირჩევნია სულ დავანებო თავი ამ წრეს, თხას კი შინ ვერ შევიყვან. ჯერ ასე არ დამიკარგავს თავი.

— მე ვიცი, სად დავმალოთ თხა! — შესძახა გალიამ. — ლიოშა, თხას ჩვენ შენთან მოვიყვანთ. კარგი?

მაშინ კი გავოგნდი. ვიგრძენი, რომ თხა ბინაში და თანაც თითქმის მოპარული — მეტისმეტი იყო.

— მე... ჩემთან თხა... — [illegible]ელი გამიშრა, გულზე რაღაც დამადგა.

გალიამ ამით ისარგებლა. სწრაფად ამხედ-დამხედა [illegible] შესხმულმა წამოიწყო:

[illegible] ბიბლიოთეკა

— ლიოშასთან დავაყენებთ. ლიოშა იურკას კი არა ჰგავს — ხომ მართალია, ლიოშა? ეს დამოუკიდებელი ვაჟკაცია, ვინმე დედიკოს ბიჭი კი არ გეგონოთ! არა, ლიოშა? თხას ამასთან დავტოვებთ და ყველანი სასადილოდ წავალთ. ერთი-ორი საათი მოიცდის და სპექტაკლის წინ წამოვიყვანთ. არც არავინ არაფერს გაიგებს. ლიოშა, ხომ მართალი ვარ? შენ ხომ არ დაფრთხები, როგორც იურკა, არა, ლიოშა?

— მე... მე... — ისევ დამება ენა.

ყველა ელოდებოდა ჩემს პასუხს, ელოდებოდა გალიაც, ის წამოჭარხლდა, პატარა მწვანე თვალები აუციმციმდა, ვარდისფერ ყურებზე ფერადი შუშის ბურთულები აუთამაშდა. და მე ველარ შევძელი უარის თქმა. გადავხედე იურას, რომელსაც გალია მადარებდა, და მხრებში ოდნავ გავიშალე.

— მე... დიდი სიამოვნებით, რა თქმა უნდა... ჩემთვის, რა თქმა უნდა, სულ ადვილია... ოღონდ... ის ალბათ აკიკინდება, მეზობლები კი...

— ოჰ! „აკიკინდება!“ რატომ უნდა აკიკინდეს? მეზობლებს კი კარს ნუ გაუღებ. ეს შენი ბინაა, შენ ხარ უფროსი და ისინი ნუ ეჩრებიან, თუ შეიძლება. — და ეტყობოდა შეშინდა, ისევ ყოყმანი არ დამეწყო, ამიტომ გალია კვლავ მოჰყვა ჩემს ქებას: — აი, ხომ ვამბობდი, ლიოშა არ დაფრთხება-მეთქი, და არც დაფრთხა. იურკას კი არა ჰგავს, იცით, როგორი გაბედული ბიჭია!

— კეთილი, მაშ წავედით, — თქვა სენიამ და თავი დამიქნია. — შენ დაგველოდე. ჩვენ სულ მალე...

მსახიობები გასასვლელისაკენ წავიდნენ, დერეფანში „დედოფალმა“ ბრძანა, რომ მას და გრიშას უკვე დიდი ხანია უნდა ესადილათ.

— აბა, ეგეთები არ იყოს, მერე ისადილე, — მოუჭრა მამასახლისმა. — ჩვენ მუშახელი გვჭირდება. იცი, ის რა ჯანიანია! აი, ამოდენა ძაღლი სასიკვდილოდ დარქინა.

ეს ფრაზა რომ გავიგონე, მთლად ავიშალე. მაგრამ უკვე გვიან იყო: მსახიობები წავიდნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურამ.

ნორჩ მათემატიკოსთა კლუბი

# პითაგორა

## მარტივი რიცხვები

მარტივი რიცხვებით ადამიანები უძველესი დროიდან დაინტერესდნენ. მრავალი კითხვა დაისვა ამ რიცხვებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ბევრ მათგანზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილი აღმოჩნდა — ამას ათეული და ასეული წლებიც კი დასჭირდა, ხოლო ზოგიერთზე პასუხი დღესაც არ არის ცნობილი...

ამ წერილში ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა არის მარტივი რიცხვები, როგორია მათი სიმრავლე, როგორ შეიძლება მათი მოძებნა.

1. ავიღოთ ნატურალურ რიცხვთა მწკრივი:

1, 2, 3, 4, 5 ...

ამ მწკრივში არ არის უდიდესი რიცხვი. როგორ გავიგოთ ეს? ცხადია, ეს ნიშნავს, რაგინდ დიდი უნდა იყოს ნატურალური n რიცხვი, არსებობს მასზე დიდი რიცხვი. მართლაც, ასეთი იქნება უკვე n-ის მომდევნო რიცხვი, ე. ი. $n+1$. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ უსასრულოდ ბევრი ნატურალური რიცხვი არსებობს. ნატურალურ რიცხვთა ამ თვისებას მათემატიკოსები ასე გამოთქვამენ: **ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა.**

2. უმცირესი ნატურალური რიცხვია 1. მას მხოლოდ ერთი გამყოფი აქვს, — ეს არის 1. შემდეგი რიცხვია 2. მას ორი გამყოფი აქვს: 1 და 2. ორი გამყოფი აქვს 3-საც: 1 და 3. მაგრამ 4-ს უკვე სამი გამყოფი აქვს: 1, 2, 4. 5-ს ისევ ორი გამყოფი აქვს, 6-ს — ოთხი და ა. შ. შეიძლება რიცხვს ბევრი გამყოფი ჰქონდეს. მაგალითად, 60-ს თორმეტი გამყოფი აქვს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 10, 12, 15, 20, 30, 60.

**რიცხვს, რომელსაც მხოლოდ ორი გამყოფი აქვს — 1 და თვითონ ეს რიცხვი, მარტივი რიცხვი ეწოდება. თუკი რიცხვს ორზე მეტი გამყოფი აქვს, მას შედგენილი ეწოდება.** მაგალითად, 2, 3, 5, 7, 11 მარტივი რიცხვებია, 4, 6, 8, 9, 10 — შედგენილი, ალბათ იკითხავთ, როგორი რიცხვია 1, მარტივი თუ შედგენილი? როგორც აღვნიშნეთ, 1-ს მხოლოდ ერთი გამყოფი აქვს და ამიტომ ის არც მარტივია და არც შედგენილი.

ამრიგად, ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე ბუნებრივად გაიყო სამ ნაწილად ანუ სამ ქვესიმრავლედ. პირველი ამ ქვესიმრავლეებიდან მხოლოდ ერთი რიცხვისაგან — 1-საგან შედგება, მეორე შეიცავს ყველა მარტივ რიცხვს, მესამე კი — ყველა შედგენილს. ცხადია, რომ ამ სიმრავლეებს წყვილ-წყვილად საერთო ელემენტები არა აქვთ, ან, როგორც ამბობენ, ეს სიმრავლეები წყვილ-წყვილად არ იკვეთებიან.

3. ადვილი მისახვედრია, რომ შედგენილ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა. მართლაც, მხოლოდ 10-ის ჯერადი რიცხვები რომ ავიღოთ, ე. ი. 10, 100, 1000,... უკვე მათი სიმრავლეა უსასრულო და მათ გარდა სხვა შედგენილი რიცხვებიც ხომ არსებობს!

მაშ ასე, შედგენილ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა. როგორია მარტივ რიცხვთა სიმრავლე—სასრული თუ უსასრულო? ეს ერთ-ერთი პირველი კითხვაა, რომელიც მარტივ რიცხვებთან დაკავშირებით დაებადათ მათემატიკოსებს. ამ პასუხი გასცა ევკლიდემ, ცნობილმა ბერძენმა მათემატიკოსმა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ცხოვრობდა. ევკლიდემ დაამტკიცა, რომ **არ არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი, ე. ი. მარტივ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა.**

ნახეთ, რა გონებამახვილურად მსჯელობს ევკლიდე ამ ფაქტის დამტკიცებისას.

მაშასადამე, ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ არ არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი. ვთქვათ, ეს ასე არ არის, ე. ი. ასეთი რიცხვი არსებობს. ვნახოთ, სადამდე მიგვიყვანს ეს დაშვება. აღვნიშნოთ უდიდესი მარტივი რიცხვი p-თი და გადავამრავლოთ ყველა მარტივი, ე. ი. 2, 3, 5, 7, 11..., p მივიღებთ

$$2\cdot3\cdot5\cdot7\cdot11\ldots\cdot p.$$

რიცხვს, რომელიც, რა თქმა უნდა, p-ზე მეტია. ამასთან, იგი უნაშთოდ იყოფა ყველა მარტივ რიცხვზე: 2-ზე, 3-ზე, 5-ზე ..., p-ზე. დავუმატოთ ამ რიცხვს 1 და მიღებული ჯამი q-თი აღვნიშნოთ:

$$q=2\cdot3\cdot5\cdot7\cdot11\ldots\cdot p+1.$$

ცხადია, რომ $q>p$ და იგი არ იყოფა არც ერთ მარტივ რიცხვზე (პირველი შესაკრები იყოფა, მეორე კი — არა). ახლა ვიკითხოთ, როგორია q — მარტივი თუ შედგენილი? (ცხადია, მესამე შესაძლებლობა არ არის, — q ან მარტივი უნდა იყოს, ან შედგენილი).

თუ q მარტივია, მაშინ $q>p$ უტოლობის ძალით ვასკვნით, რომ p არ ყოფილა უდიდესი მარტივი რიცხვი. თუკი q შედგენილია, — მაშინ მას ერთი მარტივი გამყოფი მაინც უნდა ჰქონდეს. მაგრამ ის არ იყოფა არც 2-ზე, არც 3-ზე, არც 5-ზე,... არც p-ზე. მაშასადამე, q უნდა იყოფოდეს p-ზე მეტ მარტივ რიცხვზე.

როგორც ვხედავთ, წინააღმდეგობამდე მივედით: დავუშვით, რომ არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი და დავამტკიცეთ, რომ მასზე დიდი მარტივი რიცხვი არსებობს. მაშასადამე, ჩვენი დაშვება არ არის სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ყარყატი და ბაყაყები

ორმა ბაყაყმა ერთ ჭაობში ატეხა დავა.
ერთმა თქვა: — კარგად შეიგენი, ვინა ვარ, რა ვარ.
ირგვლივ ჩემია ყველაფერი, მთელი ჭაობი...
პირველს მეორეც არ ჩამორჩა გამბედაობით:
— არა, ჩემია ეს ჭაობი მამაპაპური!
და თავის მოძმეს ბაყაყური უძლვნა პანღური...
ამ დროს ყარყატმა გაიგონა დავა ამათი,
ორივე მაღლა გაიტაცა, შეწყდა კამათი.

## დედა და შვილი

უმაქნისმა ახალგაზრდამ
ხერხს მიმართა ბევრჯერ ნაცადს,
თქვა: მსოფლიოს შემოვივლი,
გადავიქცე ეგებ კაცად.
მოიარა მთა და ბარი,
გაიხადა ძველი ფლასი,
სხვა სამოსი შეიძინა
და თავის თავს დასდო ფასი!
დრო გავიდა, ჩამოვიდა
უცხოურად გაპრანჭული,
დედას ჰკითხეს: — შეიცვალა,
შეასრულა განზრახული?!
დედამ მწარედ ჩაიცინა:
— დაიხურა სულ სხვა ქუდი,
მაგრამ გაცვდა ფანციფუნცი,
ზნე და ჩვევა შერჩა ცუდი.

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა.

რი, ე. ი. უდიდესი მარტივი რიცხვი არ არსებობს.

4. ამრიგად, მარტივ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა. მაგრამ, ცხადია, რომ სიმრავლე იმ მარტივი რიცხვებისა, რომლებიც რაიმე რიცხვზე ნაკლებია, — სასრულია. როგორ ვიპოვოთ ეს რიცხვები?

არსებობს ძალზე ადვილი ხერხი ამ რიცხვების მოძებნისა. იგი ძველი საბერძნეთის გამოჩენილ მათემატიკოსს, არქიმედის თანამედროვეს — ერატოსთენეს ეკუთვნის. გავეცნოთ მას.

ვთქვათ, გვინდა ვიპოვოთ ყველა მარტივი რიცხვი, რომელიც 50-ს არ აღემატება. ამოვწეროთ რიცხვები 1-დან 50-მდე უკანასკნელის ჩათვლით:

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50.

პირველი რიცხვი ამ მწკრივში არის 1. 1 არ არის მარტივი. ამიტომ ამოვშალოთ იგი. შემდეგი რიცხვია 2. იგი მარტივია. დავტოვოთ ეს რიცხვი და ამოვშალოთ მისი ჯერადი ყველა რიცხვი, ე. ი. ყოველი მეორე 3-დან დაწყებული. 2-ის შემდეგ პირველი ამოუშლელი რიცხვია 3. იგი მარტივია. (წინააღმდეგ შემთხვევაში ამოშლილი იქნებოდა). ვტოვებთ ამ რიცხვს და ვშლით მის ჯერად ყველა რიცხვს, ე. ი. ყოველ მესამეს 4-დან დაწყებული. (დათვლისას ის რიცხვებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომლებიც უკვე ამოშლილი იყო, ამიტომ ზოგიერთ რიცხვს, მაგალითად, 6-ს, 12-ს, 18-ს, მეორედ ამოვშლით). ამის შემდეგ პირველი ამოუშლელი და, მაშასადამე, მარტივი რიცხვი იქნება 5. მას ვტოვებთ, მის ჯერად ყველა რიცხვს კი ვშლით. მერე გადავდივართ მომდევნო ამოუშლელ და, მაშასადამე, მარტივ რიცხვზე — 7-ზე და ა. შ. საბოლოოდ ამოვშლით ყველა არამარტივ რიცხვს და მხოლოდ მარტივი რიცხვები დაგვრჩება. ეს რიცხვებია: 2, 3, 5, 7, 11, 13, 17, 19, 23, 29, 31, 37, 41, 43, 47.

ერატოსთენეს ხერხის გამოყენებისას თითქოს ცხრილში გავატარეთ ყველა შედგენილი რიცხვი. ამიტომ ამ ხერხს „ერატოსთენეს ცხრილი" ეწოდება. შეეცადეთ, ერატოსთენეს ცხრილის გამოყენებით იპოვოთ ყველა მარტივი რიცხვი 1-დან 250-მდე შუალედში.

სავარჯიშოს სახით გთავაზობთ შემდეგ ამოცანას: დაამტკიცეთ, რომ თუ $p$ მარტივი რიცხვი მეტია 3-ზე, მაშინ $p^2 - 1$ უნაშთოდ იყოფა 24-ზე.

გიორგი თოფაძე.



განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

## არჩილ ებრალიძე — ჭადრაკის კლასიკოსი

არჩილ ებრალიძე (1909-1960) საჭადრაკო თეორიის — სტრატეგიისა და ტაქტიკის დიდი მცოდნე იყო. ამისკენ სწრაფვა უნდა იყოს ყველა ნიჭიერი ნორჩი მოჭადრაკის უპირველესი და უმაღლესი მიზანი. სამწუხაროდ, ჭადრაკის თეორიაში გულისხმობენ სადებიუტო თეორიას — უამრავი ვარიანტის ცოდნას, რაც ბევრ დამწყებ მოჭადრაკეს უმრუდებს გზას. უბრალოება, აი რა იყო დამახასიათებელი ა. ებრალიძის შემოქმედებისათვის.

ქვემოთ მოყვანილი პარტია ნათამაშევია სსრკ-ს ჩემპიონატის ნახევარ ფინალში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ოსტატთან ვლადიმერ მაკაგონოვთან. ვ. მაკაგონოვმა ფრედ დაამთავრა მატჩი დიდოსტატ სალო ფლორთან, გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1945 წელს ამერიკის ნაკრებთან რადიომატჩში.

### პარტია № 2

### ორთოდოქსალური დაცვა

თეთრები: ა. ებრალიძე
შავები: ვ. მაკაგონოვი

ბაქო, 1943 წ.

1. d4 d5 2. c4 e6.

შავებმა ლაზიერის გამბიტის (2. c4) წინაამდეგ „ორთოდოქსალური დაცვა" აირჩიეს. უკანასკნელი სვლით შავები ამაგრებენ ცენტრს, თუმცა კეტავენ თეთრუჯროვან კუს.

3. მc3 მf6 4. კg5.

თეთრები თანმიმდევრულად აძლიერებენ დაწოლას „d5" პაიკზე.

4. ...კe7 5e3 h6.

ამ სვლით იწყება თეორიაში კარგად ცნობილი ტარტაკოვერ-მაკაგონოვ-ბონდარევსკის სისტემა: მაგ., 6. კh4 0-0 7. მf6 b6. 8. cd მ:d5 9. კ:e7 ლ:e7 10. მ:d5 ed 11. კe2 კe6 12. ლa4 c5 13. ლa3 ეc8 (მd7) 14. dc bc 15. კf3, მg1—e2, 0—0, მe2—c3 ან f4, ეf—d1.

7. ... a6.

თეთრებმა მიზანს მიაღწიეს — შავებმა თავის სისტემიდან გადაუხვიეს.

8. cd მ:d5 9. კ:e7 ლ:e7 10. მe4.

ანალოგიურ პოზიციებში მხედრის ასეთი მანევრი ალიოხინთან გვხვდება.

10. ... c6 11. მf3 ეd8 12. ლb3 მd7 13. მc5!

ეს ერთი შეხედვით აქტიური სვლა პროფილაქტიკურია (იხ. „პიონერის" 1976 წ. № 1). თეთრებმა აღკვეთეს შავების პოზიციის გამათავისუფლებელი სვლა — e5.

13. ... მ:c5 14. ე:c5 კd7 15. კe2.

არ ვარგა 15. ლ:b7. ეd—b8 გამო.

15. ... კe8.

ვ. მაკაგონოვი თავის სტიქიაშია, იგი ორთოდოქსალური სისტემების დიდი მცოდნეა. მასთან მატჩის შესახებ ს. ფლორი წერდა, რომ ამ სისტემაში მან ვერ შეძლო ბაქოელი „ციხე-სიმაგრის" აღება. ტექსტში სვლით შავები იწყებენ რთულ, ხანგრძლივ მანევრირებას, რომლის მიზანია ფიგურათა ხელსაყრელი (ჰარმონიული) განლაგება e5-ის განსახორციელებლად, რასაც (ან c5-ს), შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიის ბედზე.

16. 0—0 f6 17. ეf—c1 კf7 18. ლa3.

აჰით ლაზიერის ფრთის პაიკთა იერიში მზადდება. გარდა ამისა, მუქარაა 19. ე:d5 ფიგურის მოგებით.

18. ... მc7 19. b4 მb5 20. ლb2 მd6 21. კd3 მc8 22. კb1.

ამ სვლით იწყება არა „მეფეზე შეტევა", როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ სისუსტეების გამოწვევა ცენტრში და მეფის ფრთაზე.

22. ... მb6 23. ლc2 g6 24. მh4 f5 25. მf3 მd7.



როგორც ჩანს, ამ მდგომარეობისაკენ კარგა ხანია ორივე მხარე მიისწრაფოდა, მაგრამ თითოეული მათგანი მას თავისებურად აფასებდა. ახლა თუ თეთრები უკან დაიხევენ, მაშინ 25. ... e5 და შავები პარტიის სრულ გათანაბრებას აღწევენ.

26. ლb2!!

დიდებულია!

რეალური შეწირვის კლასიკური ნიმუშია, რომელიც თეთრების სტრატეგიას აგვირგვინებს. შეწირვა პოზიციის ღრმა გაგებაზეა დაფუძნებული და არა კონკრეტული, ბოლომდე გათვლილი კომბინაცია. ხარისხის ამ შეწირვით თეთრებმა დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს. საჭადრაკო ბრძოლაში დგება მომენტი, როცა არათუ მარტო შეტევისათვის, უპირატესობის გაზრდის ან მისი შენარჩუნებისათვის მსხვერპლის გაღებაა აუცილებელი.

26. ... მ:c5 27. bc ლc7 28. მe5.

ეს ცენტრალიზებული მხედარი ეტლს უტოლდება.

28. ... ეa—b8 29. კc2 b6 30. კb3 bc.

შავები ლოგიკურად თამაშობენ, მათ ზედმეტი ხარისხი აქვთ, [illegible] ხაზებს ეტლებისათვის.

31. ე:c5 ეd6 32. ლc2 კe8 33. f4 მფh7 34. h3 ეb5 35. ე:b5 ab 36. ლc5 მფg7.



ზედმიწევნით სამოსწავლო პოზიციაა!

მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა, შავების ფიგურები შევიწროებულია და მათი პარტია წაგებულად უნდა ჩაითვალოს.

თეთრების ყველა ფიგურას, განსაკუთრებით e5-უჯრაზე მდგარ მხედარს, საუცხოო პოზიცია აქვს.

37. g4 fg 38. მ:g4 ეd7.

იყო გამანადგურებელი მუქარა 39. ლe5+ სვლით.

39. კ:e6 ეa7 40. d5! მფh8.

თუ 40. ... cd, მაშინ 41. ლd4+ (შავი უჯრები!).

41. d6 ლa7 42. ლe5+ ეg7 43. d7!

საყურადღებოა 43. ლf6.

43. ... კ:d7 44. კ:d7 ლ:a2.

არ შეიძლება ლ:d7, რადგან 45. ლb8+ ეg8 46. ლ:g8+! და თეთრებს ზედმეტი ფიგურა რჩებათ.

45. კ:c6 ლb1+ 46. მფh2 ლc2+ 47. კg2 ლf5 48. ლe8+ მფh7.

ცხადია, არ შეიძლებოდა ეg8, 49. ლ:g8+! 1-ის გამო. პარტიის ფინალი გამოირჩევა ტაქტიკური მომენტების სიუხვით. „ჩათრევის" იდეაა: 43. d7, ვარიანტებში: (რომლებიც „კულისებში" დარჩნენ, მაგრამ გავლენა იქონიეს პარტიის მსვლელობაზე) 46. ლ:g8+!, 49. ლ:g8+!, რომლებიც ამწიფებდნენ მოტივს მხედრით ორმაგი დარტყმის განსახორციელებლად.

49. კe4. ლf7 50. ლ:b5 ლf8 51. ლh5.

ფიგურათა კოორდინირებული მოქმედების კარგი ილუსტრაციაა.

51. ... ლd6 52. ლ:h6+ მფh8 53. კd5+! შავები დანებდნენ.

არ შეიძლება 53. ... ლ:d5, 54. მf6+-ის გამო. 53. ... მფf8 შემთხვევაში 54. ლh8+-ს შემდეგ შავები კიდევ ეტლს კარგავენ.

კლასიკური პარტიაა ებრალიძისეულ აკადემიურ სტილში ნათამაშევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კენგურუ

ყოველ მოთამაშეს წვივებით ან მუხლებშუა უჭირავს ბურთი. 20-30 მეტრი ხტუნვა-ხტუნვით ისე უნდა დაფაროთ, რომ ბურთი არ დაგიგორდეთ. თუ ბურთი ფინიშამდე გაგისხლტათ, ისევ მოიქციეთ ფეხებში და ფინიშისაკენ სვლა მაინც განაგრძეთ. არეკნი ორივე ფეხით უნდა გაკეთდეს. (ამიტომაა სწორედ, ამ თამაშს „კენგურუ“ რომ ჰქვია).

ეს თამაში შეიძლება ისე მოეწყოს, რომ ფინიშისაკენ ერთდროულად რამდენიმე მოთამაშე მიხტუნავდეს და გამარჯვება გასწრებაზე იყოს. შეჯიბრის ჩატარება ცალ-ცალკე, დროის მონიშვნითაც შეიძლება. კიდევ უფრო მიმზიდველი იქნება თუ შეჯიბრს ესტაფეტის სახე მიეცემა.





## თოკის გადაჭიმვა

მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელია, ოღონდ აუცილებელია, მონაწილეთა რიცხვი გუნდებში თანაბარი იყოს, ამასთან, მონაწილეთა წონასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მოედანზე შემოხაზეთ ორი წრე, თითოეული ერთი მეტრი დიამეტრისა. წრეებს შორის მანძილი მეტრზე მეტი არ უნდა იყოს. მსაჯის ნიშანზე ორივე გუნდი მთელი ძალით ცდილობს თოკი თავისაკენ დაითრიოს. დამარცხებული ის იქნება, ვინც თავს ვერ შეიმაგრებს, თოკს გაყვება და წრეს გადაცილდება. აქ საინტერესო ერთი რამეც არის: გამარჯვებულმა ისე უნდა გამოზომოს ძალა, რომ ინერციით წრეს არც უკან გადაცდეს, თორემ ხელი მოგებულად არ ჩაითვლება.

## იანუსები



ძველ რომაელთა ღვთაება იანუსი ორსახოვანი იყო — ერთი სახე, ჩვეულებრივ, წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე — უკან. აქედან დაერქვა ამ თამაშს ეს სახელი. მოთამაშეები ზურგშექცევით, მკლავებგადაჭდობილნი დგებიან. ასე, ერთმანეთზე მკლავებგადაჭდობილებმა, 20-25 მეტრი ჯერ ერთ მხარეს უნდა გაირბინონ, მერე მეორე მხარეს. გამარჯვებული ის იქნება, ვინც წინ და უკან მანძილს ყველაზე სწრაფად დაფარავს.

## მრგვალი ჯოხი

ამ თამაშისათვის საჭიროა მრგვალი, 40-50 სანტიმეტრი სიგრძის ორი ჯოხი. ამ ჯოხებზე უნდა გამოაბათ 7-8 მეტრიანი ბაწარი. შუა ბაწარზე დაამაგრეთ რაიმე ფერადი ნაჭერი ან ბაფთა. დადექით პირისპირ, ერთი ერთ ჯოხს ჩაეჭიდეთ ორივე ხელით, მეორე — მეორეს. მსაჯის ნიშანზე დაიწყეთ ჯოხების ტრიალი. ვინც უფრო სწრაფად დაახვევს ბაწარს თავის ჯოხზე და მიაღწევს მონიშნულ, ე. ი. ბაბთაგამობმულ ადგილამდე, გამარჯვებულიც ის იქნება.



## განიარაღება და სათამაშოები

რა გავლენას ახდენს სათამაშოების წარმოებაზე მშვიდობისათვის საყოველთაო მისწრაფება და განიარაღების თაობაზე მოლაპარაკებანი?

ერთ-ერთმა შვეიცარიულმა გაზეთმა გამოაქვეყნა უახლესი მინიატურული ტანკების ფოტო და ცნობა იმის შესახებ, რომ ამ სათამაშოების ფასი 20 პროცენტით დაეცა. გაზეთი წერს, რომ სათამაშოთა მწარმოებელი ფირმები იძულებული გახდნენ „განეიარაღებინათ" თავიანთი მაღაზიები, რადგან ნორჩმა მუშტრებმა დაკარგეს ამგვარი სახის გართობისადმი ინტერესი. გაზეთის მტკიცებით, მოზარდი თაობა დაინტერესებულია პირველ ყოვლისა „მშვიდობიანი" დანიშნულების სათამაშოებით.

## ადამიანი სარკეში

ამას წინათ ფრანკფურტის ზოოპარკის ტერიტორიაზე, დირექტორის განკარგულებით, დაჰკიდეს სარკე, რომელსაც ასეთი წარწერა ახლავს: „სარკეში ხედავთ ყველაზე მავნე არსებას. მთელ მსოფლიოში გამუდმებით მხოლოდ ეს არსება სპობს ცხოველებსაც და მცენარეებსაც".

## ავტომობილი და მორალი

ამერიკელ ტელემაყურებლებს მოუწყეს კონკურსი, რომელიც შეიცავდა კითხვას: როგორ მოქმედებს საავტომობილო მრეწველობა ქვეყნის მორალზე?

მთავარი პრიზი მიენიჭა ასეთ პასუხს: „მოტორიზაციის ზრდამ მკვეთრად შეამცირა ცხენის ქურდობა".

## ლანჩა — ვენტილატორი

ასე ეძახიან ბელგიაში ამას წინათ გამოგონებულ ფეხსაცმელს: იგი ცხელ დღეებში აგრილებს ქვეითად მოსიარულის ფეხებს. საქმე ის არის, რომ ლანჩაში მოთავსებულია რამდენიმე სარქველი, რომლებიც ჰაერს მხოლოდ ერთი მიმართულებით ატარებენ. ლანჩა მიწას რომ დააწვება, სარქვლები ავტომატურად იღებიან და გახურებულ ჰაერს გარეთ უშვებენ.

## მიწისქვეშა ცეცხლის სამეფოში

აზბესტის კოსტიუმში გამოწყობილი, თავზე კოსმონავტის მუზარადმორგებული იტალიელი ვულკანოლოგი ანტონიო ნიკოლოზო ფოლადის წნულის კიბით 150 მეტრზე ჩაეშვა ცეცხლისმფრქვევი ეტნის კრატერში. ადამიანმა პირველად გაბედა ასეთი თავგანწირული საქმის ჩადენა — კრატერში ტემპერატურა ხომ 900-1000 გრადუსია ცელსიუსით.

„როგორც კი ჩაშვება დავიწყე, — ჰყვებოდა შემდეგ ნიკოლოზო, — ფეხების წვა ვიგრძენი, კრატერის კედლები კი უფრო და უფრო ცხელდებოდა. ძირს ლია-წითელი



ლავა დუღდა; როგორც დაბომბვის დროს, რაღაც გამუდმებით გამაყრუებლად გრუხუნებდა. ყველაზე აუტანელი იყო ნაპრალებიდან ამომავალი ოხშივარი, რამაც თავბრუ დამახვია და ორიენტაციის უნარი დამაკარგვინა..." მაღლა ამოსასვლელად ნიკოლოზოს ძალა აღარ ეყო და იგი ბაგირით ამოიყვანეს.

კრატერში ჩასვლა სენსაციისათვის როდი იყო გამიზნული. იტალიაში აპირებენ ვულკანური სითბოთი მომუშავე დიდი ელექტროსადგურის აგებას.

მიწის ზედაპირზე ნიკოლოზოს ამოყვანიდან ზუსტად ორმოცი საათის შემდეგ დაიწყო ვულკანის ამოფრქვევა. 250 მეტრ სიმაღლეზე იტყორცნებოდა ლოდები, თავქვე დაეშვა 120 მეტრი სიგანის ლავა.

## ჰიგიენის პატრიარქი

ინგლისელი ჰერბერტ კლიფორდი ათ წელიწადს სწავლობდა კბილის ჯაგრისის ისტორიას. თავის ნაშრომში იგი წერს: ჯერჯერობით ძნელია იმის დადგენა, როდის და როგორ შეიქმნა პირადი ჰიგიენის ეს შეუცვლელი საგანი, რადგან მისი ისტორია საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. შესაძლებელია, ვინმე შორეულმა წინაპარმა, მღვიმეში ერთ დილას რომ გამოიღვიძა და პირში საზიზღარი გემო იგრძნო, წნელი აიღო, ბოლო დაუსველა და შეუდგა კბილების გამოწმენდასო.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი სა-




ხე ჰქონდა უძველეს კბილის ჯაგრისს. თანამედროვე სახის კბილის ჯაგრისი კი მხოლოდ 1780 წელს გამოჩნდა. ეს იყო ძვლის ჩხირი ბოლოში ჯაგრის პაწია კონით. მისი გამომგონებელი ჰერბერტ კლიფორდის თანამემამულე [illegible] ედისი. ეს სიახლე ცივილიზებულ ქვეყნებს შორის ყველაზე გვიან ამერიკაში გავრცელდა, სადაც კბილის ჯაგრისის ფაბრიკა 1884 წელს ქალაქ ფლორენციაში (მასაჩუსეტის შტატი) გაიხსნა.

## მოხეტიალეთა მეფე

36 წელიწადზე მეტია, რაც დედამიწის ზურგზე ფეხით მოგზაურობს ამერიკელი ელზერ დიუკერტი. ამ ხნის გამავლობაში მან 200 000 კილომეტრი გაიარა. დიუკერტი ოცდახუთი წლის ჭაბუკი იყო, მოგზაურობა რომ დაიწყო, და მას შემდეგ უკვე 150 წყვილი წაღის გაცვეთა მოასწრო. მთელი მისი ბარგი ეტევა საკუთარი ხელით გაკეთებულ ურიკაში, რომელსაც ნიადაგ მიაგორებს თან. ამერიკის ჟურნალისტთა კავშირმა გაითვალისწინა დიუკერტის ხანდაზმულობა, მოგზაურობისადმი ერთგულება და მას ოქროს მედალი და „მოხეტიალეთა მეფის" საპატიო ტიტული მიანიჭა. არა გვგონია, რომ ამ წოდებას ვინმე ოდესმე შეეცილოს.

## ყველაზე პოპულარული ავტორები

მსოფლიოში ყველაზე მეტი ითარგმნება ვ. ი. ლენინის თხზულებანი. მარტო ერთ წელიწადში სხვადასხვა ქვეყანაში გამოიცა დიდი ბელადის 380 ნაშრომის თარგმანი.

წარსული დროის მწერლებიდან ყველაზე ხშირად იცემა ჟიულ ვერნის, დოსტოევსკის, მარკ ტვენის, ლ. ტოლსტოის, შექსპირის, ბალზაკის, დიკენსის, ჩეხოვის, პუშკინის, ზოლას, ჰიუგოს, გოგოლის, გოეთეს, ტურგენევის, მოპასანის, დეფოს, ფლობერის, სვიფტის, სერვანტესის ნაწარმოებები.

თანამედროვე საბავშვო მწერლებიდან განსაკუთრებულად პოპულარული არიან ინგლისელი ბლაიტონი და ასტრიდ ლინდგრენი.

საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა უცხოური ლიტერატურის თარგმნის საქმეში.

## როგორ მიაღწია?

ტასმანიის ზღვაში მდებარე კუნძულ ლორდ-ჰაუზე აღმოაჩინეს რამდენიმე ათასი წლის წინათ გადაშენებული, ხმელეთზე მობინადრე რქოსანი კუს ნამარხი. გამოარკვიეს, რომ ამ კუს სიგრძე მეტრნახევარი ყოფილა, ხოლო ნამარხის ხნოვანება 38 500 წელს უდრის. ამოუხსნელი მხოლოდ ის დარჩა, როგორ შეძლო წყალში ცხოვრებასთან შეუგუებელმა კუმ მატერიკიდან კუნძულამდე მიღწევა.



მაგნიტის საშუალებით შეიძლება სითხიან ჭურჭელში ჩავარდნილი ლითონის რაიმე დეტალის, ქანჩიკისა თუ სხვა წვრილმანის ამოღება. მაგნიტითვე შეიძლება გაბურღვის შემდეგ ფოსოდან ლითონის ფხვნილისა და მტვრის ამოწმენდა.

თუ კედელზე მისაკრავი სახაპნე წესიერად არ მაგრდება, გულს ნუ გაიტეხ, რეზინის მისაკრავებს ბენზინით ან ნავთით კარგად გაუწმინდეთ პირი და ზედ რეზინის წებო წაუსვით... 

თუ გინდა კარადაში შარვალი არ დაიჭმუჭნოს, კარადის კარზე შიგნიდან ასეთი უბრალო საკიდი გააკეთე.





ბოლო ხანს მოდაში შემოვიდა მსტვინავსახურავიანი ჩაიდნები, მაგრამ თუ იგი ვერ იშოვე, გამოსავალი იოლი მოსაძებნია, ადექი და სამისოდ ძველი ჩაიდანი გადააკეთე. ამისათვის საკმარისია ნახმარ სათამაშოს სასტვენი მოაძრო, ჩაიდნის სახურავს ნახვრეტი გაუკეთო და ეს სასტვენელა შიგ ჩაამაგრო.







## სარჩევი


მგელაძე ნ. — იყავ ღირსი (ნარკვევი) . . . 1
მერაბიშვილი ელ. ტრამალი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . 4
ბაბიჩვაძე რ. — წარუშლელი კვალი (მოგონება) 12
ქუჩიშვილი გ. — პიონერთა შეკრებაზე (ლექსი) 13
ქორქია რ. — თავდადება (მოთხრობა) . . 14
შენი უცხოელი თანატოლები . . 16
რეხვიაშვილი ს. — ორჯონიკიძე და მთიელი ბავშვები (წერილი) . . . . . "5
აისი . . . . . . . . . 18
სოტნიკი ი. — როგორ ვიყავი დამოუკიდებელი (მოთხრობა) . . . . . . . 19
თოფაძე გ. — მარტივი რიცხვები (წერილი) . 26
ქორიუნი მ. — ყარყატი და ბაყაყები; დედა და შვილი. (ლექსები) . . . . . 28
მხედრიონი . . . . . . . . 29
თამაშობები . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . 31
საზრიანის ხელში . . . . . . 32
ყურადღება, სტარტზე! — გარეკანის მე-3 გვ.


გარეკანის 1-ლ გვერდზე — ზურაბ ფორჩხიძის ნახატი.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა შელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/II-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90⅛. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 0210. ტირ. 145.075. უე 00638

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.





© „პიონერი", 1976 წ.

# ყურადღება, სტარტზე!

## ტანვარჯიშული მრავალჭიდი

მშთ-ს ამ კომპლექსის ჩასაბარებლად მზადება სასკოლო ან პიონერთა ბანაკის სპორტდარბაზების გარეშე შეუძლებელია, რადგან სწორედ იქაა სავარჯიშოდ აუცილებელი ტანვარჯიშული იარაღები. მრავალჭიდი ძალზე მიმზიდველი შეჯიბრია, აქ შეიძლება გამოავლინო მოქნილობა, ღონე, მოძრაობის სილამაზე. მასწავლებლის მეთვალყურეობით ტანვარჯიშულ ფიცარნაგზე შეგიძლია გადადგა პირველი ნაბიჯები მომავალი დიდი სპორტისაკენ. ტანვარჯიშული მრავალჭიდი სხვადასხვა იარაღზე ვარჯიშისაგან შედგება. 10-11 წლის გოგო-ბიჭებისათვის აკრობატული და დვირზე ვარჯიშები არაფრით არ განირჩევიან ერთმანეთისაგან. ამიტომ მათ ერთდროულად შეუძლიათ მზადება, მაგრამ მაინც არის ერთი განსხვავებული სახეობა — ბიჭებისათვის ხარიხაზე ხტომა, ხოლო გოგონებისათვის ნაირსიმაღლიანი ორძელი.

ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიშები ისეა შერჩეული, რომ მომეცადინემ შეითვისოს ცხოვრებაში საჭირო და სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის გამოსადეგი მოძრაობანი. დვირზე ვარჯიში ავითარებს წონასწორობის გრძნობას; აკრობატული ვარჯიშები ხელს უწყობენ მოძრაობის კოორდინაციის გამომუშავებას; ხარიხაზე ხტომა, ორძელზე და ღერძზე ვარჯიში ძალზე ავითარებს ღონესა და მოქნილობას.

მიუხედავად იმისა, რომ ტანვარჯიშულ მრავალჭიდში იარაღების გარეშე ვერ მოემზადებით, მაინც, ზოგიერთი ვარჯიში, კერძოდ, დვირზე ვარჯიში და აკრობატული ელემენტები შეგიძლიათ შინ დაამუშაოთ. ამისათვის იატაკზე ფარდაგი უნდა დააგოთ და ზედ მალაყის, ხიდის, თავყირისა თუ მხარყირის გაკეთება გაგიიოლდებათ.









### პასუხი № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე„

**შარადა**

ფანტელი.

**გამოცანები**

ნაძვისხე,
45 თხილი,
მერცხალი,
მანქანის ბორბლები.

**კროსვორდი**

**შვეულად:** 1. იკაროსი, 2. ტოსტაო; 3. ტუნდრა; 4. მატერია; 7. ტიტანი; 8. ტლანქი; 14. მაისი; 15. ათოსი; 16. ოკა; 17. სიო; 20. ესენია; 21. მარანი; 22. ლაზიერი; 24. კალორია; 26. იტალია; 27. ჭერამი.

**თარაზულად:** 5. კათოდი; 6. ილუზია; 9. სტილი; 10. ლორდი; 11. ტურა; 12. სოლო; 13. ანცი; 14. მონარქია; 18. კირი; 19. ორბი; 23. იასამანი; 25. ასლი; 27. ჭიქა; 28. ნონა; 29. შანსი; 30. ნიორი; 31. რაპიდი; 32. ალმასი.

### ლარიბი რაინდის ქალიშვილები

ექვს აპრილს ელიზას დაბადების დღე იყო. იმ დღეს მისი პასუხი არ იყო სწორი, მაგრამ მეორე დღეს, ე. ი. 7-ში პასუხით „გუშინ", მან სწორი თქვა. ჟანა 7 აპრილს იყო დაბადებული. პირველი დღის პასუხით,—„ხვალ" მან მართალი თქვა, ხოლო დაბადების დღეს, 7 აპრილს— ტყუილი.

ƃ109/30
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები.

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები.



კაცი ორი დოქით

ფრისგან ელიშერაშვილი. 13 წლის.

მეზურნეები.

ქეთინო თეიმურაზოვი. 12 წლის.

